ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

„თამუნასთან ინტიმური ურთიერთობა არ მქონია“

„პარიზში 4 დღე ერთად ვიყავით... ისე დამშორდა, მიზეზი არ უთქვამს“

რა წერია თემურ ჭანუყვაძის ჩვენებაში


გვ.5

ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 2020 №190 (8454) ფასი: 60 თეთრი

„მიშა ნოემბერში ჩამოვა“

გვ.3

რომან გოცირიძე: „ახალი პარლამენტი მას აღუდგენს მოქალაქეობას და ამნისტიას გამოუცხადებს“

„სააკაშვილმა საკუთარი ამომრჩევლის მაქსიმალური მობილიზება მოახდინა“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „მიშას გულწრფელობის არ მჯერა. მისი და ბიძინას ცხოვრებისეული ფილოსოფია აბსოლუტურ ძალაუფლებაზე დგას“

„ხელისუფლება კოვიდ-ინფექციით სპეკულირებას არ მოეშვება“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, ხელოვნურად დააშინოს ადამიანები, თუ ეს ყველაფერი კავშირში იქნება არჩევნებთან და იქნება შეზღუდვები, ამას სერიოზულად შევეწინააღმდეგებით“

ლევან ჩაჩუა: „რეიტინგის დაცემის დროს „ქართული ოცნება“ საფრთხობელებს იყენებს“

გვ.4

„გაუყიდავი, არამართული ოპოზიცია მინიმუმ 7 დეპუტატის გაყვანის შემთხვევაშიც კი შეცვლის მდგომარეობას უკეთესობისაკენ“


გვ.4

თამარ ჩერგოლეიშვილი: „2016 წელს ნაცმოძრაობამ კვლევები გააყალბა“


გვ.2

მამუკა მდინარაძე: „როცა „ევროპული საქართველო“ 600-კაციან სუფრას შლის, ამას მიაქციეთ ყურადღება“

ნათელაშვილი: „სააკაშვილი პრემიერობის კანდიდატად არ განიხილება“



გვ.2

გვ.4

ირმა ინაშვილი ნაძალადევში მაჟორიტარად იყრის კენჭს

ISSN 1987-9385

4 ამირან გამყრელიძე: „ყველა მშობელს ვთხოვ, დაიცვან რეკომენდაციები“

4 რა შემთხვევაში გაძვირდება პური საქართველოში

5 „ივიკო ფრუიძემ დედა შეგვაგინა და ჩხუბი მერე დაიწყო“
სტრიპტიზ-ბარის მფლობელი ცოლ-ქმარი დააკავეს

6 სვეტლანა ტიხანოვსკაია: „ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსს აღარ წარმოადგენს“

გია ხუხაშვილი: „სააკაშვილმა საკუთარი ამომრჩევლის მაქსიმალური მობილიზება მოახდინა“

„მიშას გულწრფელობის არ მჯერა. მისი და ბიძინას ცხოვრებისეული ფილოსოფია აბსოლუტურ ძალაუფლებაზე დგას“

იაგო ნაცვლიშვილი

7 სექტემბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც კოალიციამ „ძალა ერთობაშია“ პრემიერმინისტრობის კანდიდატად დაასახელა, ვიდეომიმართვა გაავრცელა. სააკაშვილმა მიმართვაში ისაუბრა იმაზე, როგორ ენატრება საქართველო, როგორ ნადგურდება ქვეყანა და ჩიხიდან გამოსაყვანია, რისთვისაც საჭიროა ერის ერთობა.

რა გზავნილები დაინახა სააკაშვილის ვიდეომიმართვაში, დაინახა თუ არა სახეშეცვლილი მიშა, სჯერა თუ არა მისი სინანულის, უნდა თუ არა ბიძინას გზა მასაც და გამოაცალა თუ არა „ოცნებას“ არგუმენტი, რომ სააკაშვილი არეულობისთვის ემზადება? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– მოვისმინეთ მიხეილ სააკაშვილის მიმართვა. პირადად თქვენ რა გზავნილები დაინახეთ და, დაინახეთ თუ არა სახეშეცვლილი მიშა, რომელიც თავის დაშვებულ შეცდომებზე რეაგირებს?

– არა. ჩვენი გამოცდილებით, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ, ერთი მხრივ, ასეთ განცხადებებს ვენდოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც მისასალმებელია, როდესაც ადამიანი ამას აკეთებს, მიუხედავად იმისა, ამ შემთხვევაში ის გულწრფელია თუ არა. თავად ის ფაქტი, რომ ეს რეალურად იყო პრობლემატური, უკვე კარგია. კარგია ისიც, როდესაც ამ საკითხებზე რეაგირებს. თავისთავად მე ცუდს ვერაფერს ვხედავ ამაში. არ მჯერა, მაგრამ კარგია, რომ აღიარებს, რომ ეს იყო პრობლემა.

– ანუ მისი გულწრფელობის არ გჯერათ?

– დიახ, არ მჯერა. არანაირი საფუძველი არ მაქვს, რომ ეს დავიჯერო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთები არიან პოლიტიკოსები. მე მარტო მიხეილ სააკაშვილზე არ ვამბობ და მხოლოდ მისდამი არ მაქვს უნდობლობა. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ელიტა, ნდობის კრიტერიუმითა და ისტორიული გამოცდილებით, არ არის სანდო.

– არც იმის გჯერათ, რომ მას ენატრება საქართველო და ეს პათოსიც არ არის სანდო?

– ადამიანები ვართ ყველანი და როგორ შეიძლება, მას ამაში ბრალი დავდო?! ალბათ, თავისებურად ენატრება და თავისებურად უყვარს კიდეც. ამაზე ვერაფერს ვიტყვი.

– რაც შეეხება იმას, რომ რაღაც საკითხები სხვანაირად გადააფასა, ამაზე რა შთაბეჭდილება გრჩებათ?

– სხვანაირად გადააფასა და, ალბათ, იმასაც მიხვდა, რა შეცდომებიც დაუშვა, თუმცა ეს არის ორგვარი – მოინანია მან ეს გულწრფელად თუ შეცდომად იმიტომ თვლის, რომ ძალაუფლება დატოვა ამის გამო, ეს არ ვიცი.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, უფრო საითკენ იხრება?

– არ ვიცი, მე ხომ არ ვარ მისი ფსიქოანალიტიკოსი! შესაბამისად, ამაზე ვერ ვისაუბრებ ამ ინტერვიუში. მე ვერ ვიქნები კატეგორიული, იმიტომ რომ, შესაძლოა, თვითონაც ვერ ხვდება ბოლომდე.

– ასევე საინტერესო იყო მისი განცხადება პრემიერმინისტრობასთან დაკავშირებით, როდესაც თქვა, რომ მზად არის, აიღოს ეს მძიმე პასუხისმგებლობა.

– რაც მისგან მოვისმინეთ, ამაში მწყობრი და ლოგიკური პოლიტიკის დანახვა შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ათასი გამოხმაურება გვესმის. მას ჰქონდა რამდენიმე პრობლემა, რომლებშიც ამ დღეებში სიცხადე შეიტანა.

პირველი ის, რომ მოახდინა საკუთარი ელექტორატის მაქსიმალური მობილიზება. ამით მან მაქსიმალურად დააბრუნა ორპოლუსიანობა, ყოველ შემთხვევაში, მოკლე ვადით მაინც. ეს მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, იმიტომ რომ, თუ ხელისუფლებაში ვერ მოდის, მაშინ მთავარი ოპოზიციური ცენტრის სტატუსის შენარჩუნება მისთვის მნიშვნელოვანია.

ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ მისი პარტიის შიგნით ვერტიკალი ცოტა მორყეული იყო. გარკვეულ ადამიანებს, შესაძლოა, რაღაც ამბიციები უჩნდებოდათ, კონკრეტული პერსონები მყავს მხედველობაში. ფაქტობრივად, სააკაშვილმა თავისი ქმედებებით დაადასტურებინა პარტიას, რომ ის არის პარტიის უალტერნატივო ლიდერი და ზედმეტი მოძრაობები საჭირო არ არის.

პრინციპში, ეს ამოცანები მან შეასრულა. მე კმაყოფილი ვარ თუნდაც მისი გზავნილით, როდესაც თქვა, რომ არ უნდა ქვეყანაში არეულობა და ყველაფერი მშვიდობიანად უნდა მოხდეს. ეს არის კარგი საარჩევნო პროცესისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლებას აცლის მთავარ ინსტრუმენტს.

რა არის ხელისუფლების ინსტრუმენტი? – ეს არის „მგელი მოდის, მგელი მოდის“ პრინციპზე აგებული კამპანია, რომ ამით რაღაცნაირად შეაშინოს ამომრჩეველი მიშათი და მერე ამით ცხვრებივით მიყაროს საარჩევნო უბანზე. ხელისუფლებას ეს არგუმენტი გამოაცალა მიშამ და, ფაქტობრივად, ნაკლებად დამაჯერებელი იქნება ხელისუფლების აპელირება ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთებაზე.

– ხელისუფლება მუდმივად აპელირებს ხოლმე იმაზეც, რომ მიშას უნდა რევოლუცია, არეულობა და ა.შ. ეს არგუმენტიც ხომ არ გამოაცალა მას?

– დიახ, ეს გამოაცალა. ზუსტად ამაზე ვსაუბრობ, რომ ეს არგუმენტი გამოაცალა, დესტაბილიზაციის არგუმენტი. ხშირ შემთხვევაში ამომრჩევლის ნაწილი ნამდვილად უჯერებდა ამის გამო და აძლევდა ხმას, რადგან არ უნდოდა დესტაბილიზაცია, რომ მიშას დემონიზაციით უარესი მომხდარიყო ქვეყანაში. ეს არგუმენტი ხელისუფლებას გამოაცალა მიშამ, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ სერიოზული დისკომფორტია.

– სააკაშვილის განცხადებიდან კიდევ ერთი ფრაზა მომხვდა ყურში, როდესაც ის საუბრობს იმაზე, რომ პრემიერი იქნება მხოლოდ ორი წელი. რა გამოდის, ბიძინას გზით უნდა წასვლა მასაც?

– დიახ. როგორც ჩანს, მოეწონა, ჩათვალა, რომ ბიძინა უფრო დახვეწილი აღმოჩნდა. იმის ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ ადამიანები სისტემურად იცვლებიან. ადამიანებმა შეიძლება აღიარონ შეცდომები, რაღაც კორექცია მოახდინონ, მაგრამ, როდესაც ბუნებით ხარ ერთმმართველი... ბიძინაც ასეთია და მიშაც. ისინი სინამდვილეში ხომ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს! სხვადასხვა ტემპერამენტი და სხვადასხვა განათლება, სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, მაგრამ ფუნდამენტურ საკითხებში, დედა პლატა რასაც ჰქვია, ერთი და იგივე აქვს ორივეს. ორივეს ცხოვრებისეული ფილოსოფია დგას აბსოლუტურ ძალაუფლებაზე. ნახევარი პროცენტის დათმობაც არ შეიძლება. ასე ფიქრობენ მიშაც და ბიძინაც.

– მისი ეს განცხადება ამომრჩეველზეც ხომ არ იყო გათვლილი, რომ აი, მე ხანგრძლივი დროით კი არ მოვდივარ, არამედ ქვეყანას სწორ გზაზე დავაყენებ და წავალო?

– არა მგონია, რომ მას ჰქონდეს ილუზია, თითქოს ეს ამომრჩეველი, ნეიტრალურად განწყობილი ან ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი გაიქცევა და მიშას მისცემს ხმას. ეს ვერ იქნება. რეალურად მოსწონს მას ეს და რეალურად სჯერა, რომ მართლა ასე მოიქცევა. ბიძინასაც სჯეროდა. თქვენ გგონიათ, არ სჯეროდა?! სულ ამაზე მელაპარაკებოდა. ჩვენ შეთანხმებული ვიყავით, რომ არჩევნებიდან რაღაც პერიოდის შემდეგ ანუ იმ დროიდან, როდესაც დალაგდებოდა სიტუაცია, მაშინ ორივე წავიდოდით.

მე წავედი და ბიძინა ისევ იქ არის.

მამუკა მდინარაძე: „როცა „ევროპული საქართველო“ 600-კაციან სუფრას შლის, ამას მიაქციეთ ყურადღება“

– ნებისმიერ ორგანიზაციას ვურჩევ, იყვნენ ობიექტურები. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

ჟურნალისტებმა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წინასაარჩევნო მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში შეაფასებინეს, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მასშტაბით, ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის 17 ფაქტი გამოვლინდა.

მამუკა მდინარაძემ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მოუწოდა, მოსყიდვის კონკრეტულ ფაქტებზე ჰქონდეთ რეაგირება და არა მოგონილ ამბებზე.

– თუ რომელიმე ორგანიზაცია გვეუბნება, რატომ მიეხმარეთ მოქალაქეებს მაშინ, როდესაც პანდემიის დროს მთელი ქვეყანა ჩაიკეტა, ეკონომიკას ზიანი მიადგა და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩვენი მოქალაქეებიო, მათი პრობლემაა.

რაც შეეხება რეალურ მოსყიდვასა და დარღვევებს, ნებისმიერ ორგანიზაციას ვურჩევ, იყვნენ ობიექტურები.

სჯობს, როდესაც „ევროპული საქართველო“ 600-კაციან სუფრას შლის სადღაც, ვითომ პანდემიასთან დაკავშირებული წესების დაცვით, ამ შემთხვევაში ყველას ვურჩევ, ამას მიაქციოს ყურადღება, მოსყიდვის კონკრეტულ აშკარა ფაქტებს, მათზე ჰქონდეთ ობიექტურ თუ პირობითად ობიექტურ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს რეაგირება და არა იმაზე, რომ რაღაცები გამოიგონონ და ვიღაცას დააბრალონ.

ყველა თათბირზე, ყველა გადაწყვეტილების მიღების დროს, ყველა კომუნიკაციისას ცენტრალური შტაბის ხელმძღვანელობა ცდილობს, მაქსიმალურად გავაკონტროლოთ და ჩავშალოთ დავალება, რომ ნებისმიერი სპეკულაციისთვის სივრცე იყოს მოსპობილი, – განაცხადა მდინარაძემ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ წინასაარჩევნო მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში წარადგინა.

ანგარიშის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით, გამოვლინდა ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის 17 ფაქტი; წინასაარჩევნოდ, ამომრჩევლის ფართო მასების გულის მოსაგებად ხელისუფლების მიერ ინიცირებული 2 პროექტი; სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების – 3; სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული ზეწოლა/მუქარის – 4; სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ძალადობის – 1; ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების – 18; ეკლესიის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩარევის – 6; მედიის საქმიანობისთვის სავარაუდო ხელის შეშლის – 2 შემთხვევა; ასევე, პოლიტიკური შინაარსის პლაკატების დაზიანების შემთხვევები 13 მუნიციპალიტეტში.

ჯაბა ჯიშკარიანი „მზიურის“ პარკში სათვალთვალო კამერების დამონტაჟებას ითხოვს

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ჯაბა ჯიშკარიანი დედაქალაქის საკრებულოს გუშინდელ, 8 სექტემბრის, სხდომაზე „მზიურის“ პარკში უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად სათვალთვალო კამერების დამონტაჟების ინიციატივით გამოვიდა.

– მოქალაქეების ჯგუფმა, კონკრეტულად მშობლებმა მომმართეს „მზიურის“ პარკის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შესახებ. შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავაგზავნე, შსს-დან და კახი კალაძისგან რეაგირებას ვითხოვ.

„მზიურის“ პარკი გაკეთდა და ძალიან კარგია. ეს ცენტრალური ხელისუფლების პროექტი იყო და ამას ყველა მივესალმებით, მაგრამ იქ დღეს არც ერთი სათვალთვალო კამერა არ არის დაყენებული და თითქმის ყოველდღე მოზარდებს შორის ძალადობა ხდება.

მინდა, ვთხოვო შინაგან საქმეთა მინისტრსა და თბილისის მერს, რომ უსაფრთხო გარემოს შექმნა უზრუნველყონ. კერძოდ, სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს.

დღეს პარკში მერიის უსაფრთხოების სამსახურის ოთხი დაცვის თანამშრომელია, რომლებიც აცხადებენ, რომ ვერ აუდიან, ფართო ტერიტორიიდან გამომდინარე, ბავშვებისთვის ყურადღების მიქცევას. თუ მერიის უსაფრთხოების სამსახური ამ ყველაფერს თავს ვერ ართმევს, მაშინ დაცვის პოლიციას ვთხოვოთ ამ ადამიანებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ამ განცხადებაზე არის რამდენიმე ხელმომწერი, მშობლები, რომელთა შვილებიც დაზარალდნენ და მინდა, ამასთან დაკავშირებით რეაგირება მოახდინოს ბატონმა ვახტანგ გომელაურმაც.

ეს სწრაფად არის გასაკეთებელი, რადგან, შესაძლოა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ძალიან ცუდი შემთხვევა მოხდეს. აქ საუბარია არა მარტო „მზიურზე“, არამედ თბილისში არსებულ ყველა სკვერზე, სადაც მოზარდები იკრიბებიან და რაღაც მიზეზების გამო პოლიციის ყურადღება არის ნაკლები შესაძლო ფატალური შედეგების მიმართ.

ათი დღის განმავლობაში, იმედია, წერილობით პასუხს გვაცნობებენ, – აცხადებს ჯაბა ჯიშკარიანი.

ნათელაშვილი: „სააკაშვილი პრემიერობის კანდიდატად არ განიხილება“

ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, გაერთიანებული ოპოზიცია პრემიერის პოსტზე მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურას არ განიხილავს.

მისი თქმით, პრემიერობის კანდიდატის საკითხი არჩევნების შემდეგ გადაწყდება.

– სააკაშვილის კანდიდატურა პრემიერის პოსტზე არ განიხილება, ისევე, როგორც არ განიხილება არავისი. ამ საკითხის განხილვა არჩევნების შედეგების შემდეგ იქნება შესაძლებელი. იმედი მაქვს, მიშა არ შეუწყობს ხელს პოლარიზებას „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

ლეიბორისტების ლიდერის თქმით, „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანიის დროს უკვე მილიონობით ლარი აქვს დახარჯული, მაშინ როცა ოპოზიციური პარტიები მიზერული რესურსებით მუშაობენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეონერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რომან გოცირიძე: „მიშა ნოემბერში ჩამოვა“

„ახალი პარლამენტი მას აღუდგენს მოქალაქეობას და ამნისტიას გამოუცხადებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, არაერთგვაროვან შეფასებებს ვისმენთ მიხეილ სააკაშვილის გააქტიურებასთან დაკავშირებით. ბევრი თვლის, რომ მისმა პრემიერად დასახელებამ ნაციონალური მოძრაობა საგრძნობლად დააზარალა. რამდენად ერთსულოვანი იყო შიგნით ეს გადაწყვეტილება?

– ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელსაც ჰქვია „ძალა ერთობაშია“. სულაც არ იყო სავალდებულო ჩვენი მხრიდან ამის სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმება. ეს არის უკვე სამომავლოდ ბლოკში მყოფი პარტიების ერთობლივი გადაწყვეტილება.

– შიგნით ყველა თანახმა იყო?

– რა თქმა უნდა, ბლოკში შემავალი ყველა პარტია თანახმა იყო, ხოლო რაც შეეხება იმას, ეს დააზიანებს თუ შედეგებს გაუუმჯობესებს ნაციონალურ მოძრაობას, ამას ვნახავთ ჩვენ არჩევნებში.

– ეს არ აბნევს ამომრჩეველს?

– არა, ბატონო, ეს არის დამატებითი სტიმული ჩვენი ამომრჩევლისთვის. ჩვენ უკვე ვნახეთ ერთხელ ეს პროცესი საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც მიშა აქტიური კი არა, ჰიპერაქტიური იყო. დღეში 5-10 ჩართვა ჰქონდა ამომრჩევლებთან და, რა შედეგიც მივიღეთ, ყველამ ვნახეთ. მაშინ თუ ეს იყო ხმების მომტანი, ორი წლის შემდეგ რატომ იქნება პირიქით, აგვიხსნის ვინმე?!

– „ევროპული საქართველო“, რომელიც თქვენი განაყოფია, მკვეთრად ემიჯნება ამ პროცესებს და ყველაფერს იმას, რაც მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება. ამაზე რას იტყვით?

– მათი მხრიდან ასეთი ახსნაა, რომ აი, ჩვენ ვართ კონკურენტები და კონკურენციის პირობებში ერთმანეთის კრიტიკა მოსულა. თუმცა კრიტიკასაც გააჩნია.

– რატომ, ზედმეტი მოსდით?

– დიახ, ასეა, ზედმეტი მოსდით. მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას აკრიტიკებენ, აი, ასეთი მუხლია მათ ბუკლეტში, ნაციონალური მოძრაობა არ უჭერს მხარს საპენსიო ფონდის დაშლას და ჩვენ ვუჭერთ მხარსო. მერე, რა არის ამაში გასაკვირი, ერთ პარტიას ერთი შეხედულება ჰქონდეს და მეორეს მეორე?! პირიქით, ჩვენი მიდგომაა, რომ საპენსიო ფონდის გარეშე არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა არ არსებობს. ეს არის სიბერის დაზღვევა, უბრალოდ, დღევანდელი ხელისუფლების მიდგომა არ მოგვწონს და ამას არც ვმალავთ. ეს ნებაყოფლობითი უნდა იყოს და ადამიანებს უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება.

ამიტომ ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ევროპული საქართველო“ მონდომებით ეძებს საბაბს, რის გამოც გაგვაკრიტიკებს. გეტყვით იმასაც, რომ სწორედ ამ ბუკლეტის გამო მათ სერიოზული უკმაყოფილება შეხვდათ საკუთარი ამომრჩევლების მხრიდან. ასეთი რიტორიკა წინასაარჩევნოდ არ წაადგებათ და ეს არის შეცდომა, მით უმეტეს, როდესაც თავის დროზე ჩვენი ლოზუნგი იყო ყველა ერთის წინააღმდეგ. ჯერ ის ერთი გვყავს დასამარცხებელი და მერე უნდა იყოს შიდა კონკურენცია. ჩვენ ახლა ვიქნებით სერიოზული კონკურენტები, თუმცა ვიქნებით პარტნიორები მომავალ ხელისუფლებაში.

– დეკლარაციასთან დაკავშირებით გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ბევრმა პარტიამ უარი თქვა ხელმოწერაზე და ეს რისი მანიშნებელია?

– ეს არის ვალდებულება, რომელიც აიღო ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, რომ ისინი არასდროს შეუქმნიან უმრავლესობას ბიძინა ივანიშვილს. ესეც სერიოზული წინასაარჩევნო განაცხადია. ყველა პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის ერთი პოლიტიკური მუხლი უნდა იყოს ეს. თუ ეს იქნება განმტკიცებული ხელმოწერით, ეს იქნება უკეთესი.

– თუმცა ვერ მოხერხდა ამ დეკლარაციაზე ხელმოწერა.

– ამ ხელმოწერით ორმაგი ბეჭედი დაერტყმევა ამ შეთანხმებას. თუმცა პოლიტიკაში სიტყვიერ შეთანხმებას აქვს თავისი ფასი.

– გატეხილი სიტყვა ბევრჯერ გვინახავს, ბატონო რომან. რა გარანტია გაქვთ, რომ ასე არ მოხდება?

– კი, პოლიტიკაში ასეც ხდება. ივანიშვილს რომ დააკლდეს ხმები და ოპოზიციური ფლანგიდან წაეშველოს ვინმე, აქ იქნება ორი მიზეზი, ერთი ის, რომ ბიძინამ ისინი მოისყიდა და ფულია გადახდილი და მეორე, რომ მათ თანამდებობებს შეჰპირდა, მაგრამ ასეთი შეკოწიწებული ხელისუფლება იქნება ძალიან მყიფე და ძალიან მალე ჩატარდება ახალი არჩევნები.

– რამდენად სამართლიან გარემოში ჩატარდება ეს არჩევნები, შეზღუდვები ხომ არ დაწესდება, იმ ფონზე, როდესაც კორონავირუსით დაინფიცირების რიცხვი ყოველდღე იზრდება?

– წესით, ჩვენი შეზღუდვა ვერ უნდა გაბედონ. ამას ამომრჩეველი არ მოითმენს, თუმცა, ამ პანდემიას რომ სათავისოდ იყენებენ, ეს ცხადია. ჩვენი მოქალაქეების მიერ აღებულ 6 მილიარდს განკარგავს საკუთარი მიზნებისთვის წინასაარჩევნოდ „ოცნების“ ხელისუფლება. ხალხს გაცილებით უჭირდა წინა თვეებში, მაგრამ ეს ფული შემოინახეს და ახლა ურიგებენ ყველას. რამდენიმე მილიარდი დღესაც დევს ხელუხლებელი და აპირებენ ოქტომბერში დახარჯვას.

17 წლამდე ბავშვებისთვის ეს 200-200 ლარი, არ შეეძლოთ, უფრო ადრე მიეცათ?! ასევე ახლა გაახსენდათ, რომ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს თანხა გადაუხადონ?!

– ბატონო რომან, მიხეილ სააკაშვილზე ვსაუბრობდით და თქვენ სრულად არ გაეცით პასუხი ჩემს კითხვას. საკმაოდ არათანმიმდევრულია ის საკუთარ განცხადებებში. თავიდან აცხადებდა, რომ მოდიოდა საქართველოში, ახლა აცხადებს, მაშინ ჩამოვალ, როცა ჩემი ჩამოსვლა არეულობას არ გამოიწვევსო. ეს როგორ უნდა გაიგოს თქვენმა ამომრჩეველმა?

– ჩვენ ძალიან მშვიდად მივდივართ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების შეცვლის პროცესისკენ. ძალიან ახლოს არის ოპოზიციური ხელისუფლების კონტურები. ხელისუფლებას აწყობს სააკაშვილის ჩამოსვლა, რათა ქვეყანაში მოახდინოს დესტაბილიზაცია. რა თქმა უნდა, მიშას ჩამოსვლა და მისი დაკავება გამოიწვევს ძალიან დიდ საპროტესტო ტალღას. ამ პანდემიის პირობებში, როდესაც ძალიან ბევრი რამის აკრძალვა შეუძლია ხელისუფლებას, ეს გამოიწვევს დიდ დესტაბილიზაციას ქვეყანაში და, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ნაცმოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს დაბრალდება. ამიტომ მან ნათლად განაცხადა, რომ ჩამოვა არჩევნების შემდეგ. ის ჩამოვა მაშინ, როდესაც ეს ხელისუფლება შეიცვლება და ეს იქნება ნოემბერში.

– ოპოზიციის გამარჯვება ხომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. შეიცვლება კი ხელისუფლება?

– დიდი ალბათობით, შეიცვლება და მაშინ მისი მოქალაქეობის საკითხი და ის პრობლემა, რომ მას აქვს მისჯილი სასჯელი, სამართლებრივად გადაწყდება – მოქალაქეობის აღდგენა პარლამენტის მიერ, უკანონო სასჯელის გაუქმება ამნისტიის გზით ასევე პარლამენტის მიერ.

– ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ მიშა საქართველოში ჩამომსვლელი არ არის. ჩამოვაო, როდესაც აცხადებთ, ამის თავად გჯერათ?

– ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რაღა უნდა მიშას უკრაინაში?!

– გააჩნია, ვინ მოვა ხელისუფლებაში. იქნებ თქვენ ვერ მოდიხართ?

– ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, ვერავინ შეუშლის ხელს მის საქართველოში შემოსვლას.

ყველამ კარგად იცის, რომ ის არის პოლიტიკური დევნილი.

„ხელისუფლება კოვიდ-ინფექციით სპეკულირებას არ მოეშვება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, ხელოვნურად დააშინოს ადამიანები, თუ ეს ყველაფერი კავშირში იქნება არჩევნებთან და იქნება შეზღუდვები, ამას სერიოზულად შევეწინააღმდეგებით“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, როგორ შეიძლება, წინასაარჩევნოდ მოვლენები განვითარდეს? უკვე ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილი მხოლოდ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში დაბრუნდება.

– სიმართლე გითხრათ, ნაკლებად სავარაუდო იყო მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლა. ეს უფრო პიარსვლა იყო მისი მხრიდან. რამდენად მოუტანს წარმატებას მორიგი არჩამოსვლა, ეს მხოლოდ მისი და მისი პარტიის საქმეა. ისე, რა თქმა უნდა, ყველა პარტიის ამომრჩევლის განწყობა ძალიან მნიშვნელოვანია საბოლოო გამარჯვებისთვის. ივანიშვილის საბოლოო დამარცხებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩევლის განწყობა. იმედია, ყველა დარწმუნდა, რომ ერთპარტიული მმართველობის შანსი არავის აქვს. არავის აქვს ერთპიროვნული გამარჯვების შანსი, რაც ძალიან კარგია. იმედი მაქვს, ამაში დარწმუნდა სააკაშვილიც. ჩვენ უნდა დავასრულოთ ერთპიროვნული, ერთპარტიული გამარჯვებების ისტორია, რომელიც ქვეყნის დამარცხებით მთავრდება.

ახლა აქვს ქვეყანას, თითოეულ ჩვენგანს უნიკალური შანსი, როდესაც მმართველობაში მოვა კოალიცია, რომელიც ხალხის სურვილით იქნება დაკომპლექტებული. ვინც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა ძალიან უნდოდეს, მარტომ ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება, ეს არ გამოუვა. ეს დრო წარსულს ჩაჰბარდა. ჩვენ გვაქვს შანსი, რომ არა მხოლოდ ივანიშვილს დავემშვიდობოთ, არამედ დავემშვიდობოთ ბოლშევიკურ მმართველობას.

– როგორც ჩანს, რთული წინასაარჩევნო პერიოდი იქნება დაინფიცირებულთა რაოდენობის გაზრდის ფონზე. პროცესების გართულებას ელოდებით?

– როგორც ჩანს, ვირუსული არჩევნების ჩატარებას შეეცდება ხელისუფლება ბოლომდე. ხელისუფლება არ მოეშვება კოვიდ-ინფექციით სპეკულირებას. მე, ცხადია, განვეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, რომელიც რეალურ რისკებს აფასებს ამ მიმართულებით, თუმცა პანდემიით სპეკულირებაც ღიად არის სახეზე.

არის ადამიანების კატეგორია, რომელსაც, სამწუხაროდ, ვირუსი რელიგიის, რწმენის დონეზე აჰყავს, რაც არ არის სწორი და არის კატეგორია, რომელიც ლამის კოვიდ-სინდრომით არის შეპყრობილი და, რასაც მთავრობა იტყვის, ყველაფერი რეალობა ჰგონია. იმედი მაქვს, რომ ადამიანები დაემორჩილებიან ისეთ მოთხოვნებს, როგორიც არის, მაგალითად, პირბადის ტარება და არა ისეთ არარეალურ, გამოგონილ შეზღუდვას, როგორიც ადრე დაგვიწესეს – ცოლ-ქმრის ერთი მანქანით გვერდიგვერდ გადაადგილება. ასევე იმედი მაქვს, რომ არ განმეორდება ღამით კომენდანტის საათი, რომლის დანიშნულებაც დღემდე ვერ გავარკვიე, რა იყო. თუ ასეთი მცდელობები ექნება ხელისუფლებას, ეს აუცილებლად გახდება პროტესტის საგანი.

– არ გამორიცხავთ, რომ დღეში 45 დაინფიცირებულის ფონზე, შეიძლება, წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება გართულდეს?

– რა თქმა უნდა, არაფერს გამოვრიცხავ. თუ არაადეკვატური გახდა ხელისუფლება სწორედ ამ მიმართულებით, მაშინ ამ პროტესტის სათავეში ჩვენ ვიქნებით. ცხადია, ხელოვნურ შეზღუდვებზე, ხელოვნურ ბარიერებზე ვსაუბრობ და არა რეალურ საფრთხეზე, რომელიც ყველამ ერთად უნდა ავიცილოთ.



თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, ხელოვნურად დააშინოს ადამიანები, თუ ეს ყველაფერი კავშირში იქნება არჩევნებთან და იქნება შეზღუდვები, ჩვენ ამას სერიოზულად შევეწინააღმდეგებით. თუმცა მე შთაბეჭდილება მრჩება, რომ არ არის გამორიცხული, ხელისუფლება ხელოვნურად დგამდეს გარკვეულ ნაბიჯებს.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, ხელოვნურად არ აკონტროლებდეს სიტუაციას. ელემენტარული წესების დაცვის იგნორირება სახეზეა. ავტობუსით ვმგზავრობ და მგზავრთა 90%-ს პირბადე არ უკეთია, ან თუ უკეთია, მხოლოდ ფორმალურად, რომელსაც არანაირი შედეგი არ აქვს. სიტუაცია მიშვებული რომ არის, ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა მეტრო, სადაც არის უზარმაზარი რიგები, არანაირი დისტანცია, თან არავინ აკონტროლებს, უკეთია ადამიანს პირბადე თუ არა. საქალაქო ტრანსპორტის მასობრივი გადატვირთვა, თან სასწავლო პროცესის დაწყების პარალელურად, ძალიან დიდი პრობლემა შეიძლება გახდეს სწორედ ვირუსის აფეთქების კუთხით. ამას არავინ აქცევს ყურადღებას. ეს, უბრალოდ, დანაშაულია ადამიანების ჯანმრთელობის წინაშე. ამას შეგნებულად აკეთებენ თუ შეუგნებლად, ვერ გეტყვით, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ვირუსთან თამაშს, გარკვეულ რისკებს ჰქონდეს მათი მხრიდან ადგილი, რომ ეს აწყობდეთ. ეს ვარაუდია ჩემი მხრიდან, მაგრამ, რასაც ვუყურებ, მხოლოდ ეს შთაბეჭდილება მრჩება. კი არ მოეშვნენ, სიტუაცია მიუშვეს.

– რატომ, რაში აწყობთ?

– მერე ერთიანად რომ ჩაგვკეტონ და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადონ.

– როდის, წინასაარჩევნოდ?

– არა, მე ვფიქრობ, უფრო არჩევნების შემდეგ, თუ არჩევნების შედეგების გაყალბებას დააპირებენ. საბოლოო ჯამში, ვაფრთხილებ ხელისუფლებას, თუ ასეთი რამე აქვთ გამიზნული, ეს ძალიან სახიფათო თამაშია! არ გამოუვათ. თუ სადავეები გაექცათ, ამ შემთხვევაში არჩევნებიც გვერდით დარჩება და ყველაფერიც. ვიმეორებ, ეს ძალიან მძიმე თამაშია, რასაც არავის ვურჩევ. ეს, შეიძლება, ხალხის რეალური აჯანყებით დასრულდეს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ლევან ჩაჩუა: „რეიტინგის დაცემის დროს „ქართული ოცნება“ საფრთხობელებს იყენებს“

„გაუყიდავი, არამართული ოპოზიცია მინიმუმ 7 დეპუტატის გაყვანის შემთხვევაშიც კი შეცვლის მდგომარეობას უკეთესობისაკენ“

მარიამ მჭედლიშვილი

მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას აზრით, პროცესები პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის სცენარით ვითარდება. მიხეილ სააკაშვილის სახელი გამოყენებულია იმისათვის, რომ ხალხმა „ქართული ოცნება“ აირჩიოს. ივანიშვილი მართავს და აფინანსებს ფსევდოოპოზიციას. მათ შორის არიან ვითომ ეროვნული და ვითომ პატრიოტული ძალები. „ახალი თაობა“ ლევან ჩაჩუას ესაუბრა.

– ქართველი ექსპერტები ამბობდნენ, რომ შეძახილი „მიშა მოდის“ 2020 წლის არჩევნებისათვის აღარ გაამართლებდა და ვეღარ იმუშავებდა. ახლა ეს შეძახილი სააკაშვილის მიერ პრეზენტირებულ საპრემიერო გეგმებში გადაიზარდა. რას იტყვით?

– მიშას თემა შემოდის მაშინ, როცა „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება. ახლა რას ვხედავთ? მმართველი პარტია ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გამოჩნდეს ყველაზე მისაღები და აკადემიური. იქმნება ისეთი ბალასტი, ისეთი ოდიოზური გარემო, რომ „ოცნება“ საუკეთესოდ ჩანდეს და არავინ გაიხსენოს მისი შეუსრულებელი დაპირებები და შეცდომები. დასჭირდათ და ისევ დააანონსეს სააკაშვილის ჩამოსვლა. ხალხს აშინებენ. ამ დღეებში ერთმანეთს წაეკიდა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია. ამის შემყურე ადამიანებს არჩევნებზე მისვლა არ უნდათ.

– ამ მხრივ გამორჩეულია ნაცმოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ შეჯახება.

– გადაუჭარბებლად ვიტყვი – ხალხს ამ ყველაფერზე გული ერევა. წინა წლებშიც ბევრჯერ მომისმენია ადამიანებისაგან, რომ მათ მობეზრდათ ყავლგასული, სახელგატეხილი პოლიტიკური სახეების ყურება და მოსმენა. ახლანდელი მოვლენების გამო კი გული უკვე სხვებსაც აუცრუვდათ.

– ამ ყველაფრის მიზანია „ოცნების“ გარშემო საზოგადოების მობილიზება?

– „ქართული ოცნება“ უნდა გამოჩნდეს ყველაზე მისაღები და სოლიდური. ერთად შეკრებილი ოპოზიცია აღიქმება სამარცხვინოდ. ან რა ოპოზიცია ესაა? „ევროპულ საქართველოს“, „გირჩსა“ და სხვებსაც ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს. რა არ გაკეთდა ბოკერიას, უგულავასა და ბაქრაძის რეიტინგის ასამაღლებლად! არაფერი გამოვიდა. თუმცა ამ ე.წ. ოპოზიციისაა სატელევიზიო მედიის უმრავლესობა. საარჩევნო კანონმდებლობა მხოლოდ კვალიფიციურ პარტიებს აძლევს გარკვეულ უფლებებს. სხვა პარტიები დაბლოკილი ვართ. შეზღუდული ვართ სწორედ ისინი, ვისაც ივანიშვილი ვერ გვმართავს, ვინც არ გავყიდულვართ და ვისაც არ შეგვშინებია.

– თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ საკუთარ რეიტინგზე ზრუნავს და საფრთხობელებს იგონებს. საზოგადოებაში არსებობს ასევე ძალაუფლების გადაბარების თეორიები. ამ თეორიებით, მომავალ კოალიციურ ხელისუფლებაში დომინანტი ხდება „ევროპული საქართველო“ ან ნაცმოძრაობა.

– საქართველოში ისეთი გარიგებები ხდება, ესეც არ იქნებოდა გასაკვირი. „ევროპული საქართველოს“ ან ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება არ იგეგმება. ამჟამად უფრო კარგად შეფუთული გეგმა მომზადდა: სხვადასხვა პარტიაში გაფანტული და გადანაწილებული ნაციონალები უნდა მოვიდნენ მომავალ პარლამენტში, მომავალ კოალიციურ მთავრობაში. რასაკვირველია, ეს ხდება „ოცნებასთან“ ერთად. ეს მზაკვრული გეგმაა. ხალხი, რომელსაც არც „ქოცები“ უნდა და არც ნაცები, ბევრია. ეს არის დაახლოებით 60%. ივანიშვილმა ესეც გაითვალისწინა. ის მართავს და ასპონსორებს ვითომ ეროვნული და ვითომ პატრიოტული, ე.წ. კონსერვატიული პარტიების ფლანგსაც. ზოგიერთი ასეთი ცრუპატრიოტული პარტიის უზარმაზარი ძვირადღირებული პლაკატები გაკრულია ლამის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ყველა მიხვდება, ვის ეწყობა ხელი სახელმწიფოსაგან, ვინ არის მართული ფსევდოეროვნული ძალა.

– სხვებსაც ხომ აქვთ პარლამენტში მოხვედრის შანსი?

– დიახ. ამიტომ ადამიანებს მოვუწოდებ, არ დარჩნენ სახლებში, მივიდნენ საარჩევნო უბნებში, გააკეთონ არჩევანი. არსებობს არამართული ოპოზიციაც. გაუყიდავი, შეუშინებელი და არამართული ოპოზიცია მინიმუმ 7 დეპუტატის გაყვანის შემთხვევაშიც კი შეცვლის მდგომარეობას უკეთესობისაკენ. ასეთი ოპოზიცია იმოქმედებს გადაწყვეტილებებზე და არ დაუშვებს ანტიქართულ ნაბიჯებს, გამოასწორებს წინა შეცდომებს. ვითომ ეროვნული და ვითომ პატრიოტული ძალებისგან განსხვავებით, ნამდვილი ეროვნული ძალები ბევრ რამეს გააკეთებენ. საზოგადოებას მოვუწოდებ, გული არ აიცრუოს ყველა პოლიტიკოსსა და არჩევნებზე. არიან დამოუკიდებელი, სუფთა ადამიანები, რომლებიც პარლამენტში საქვეყნო საქმეს გააკეთებენ.

თამარ ჩერგოლეიშვილი: „2016 წელს ნაცმოძრაობამ კვლევები გააყალბა“

თამარ ჩერგოლეიშვილის განცხადებით, 2016 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ნახევარიც კი არ უჭერდა მიხეილ სააკაშვილის პრემიერობას მხარს, თუმცა ამას ნაციონალური მოძრაობა მალავდა.

მისი მტკიცებით, 2016 წელს ნაციონალური მოძრაობის მიერ შეკვეთილი სოციოლოგიური კვლევები გაყალბებული იყო. პარტიამ გაყალბებული მონაცემების გაშუქება მედიის დახმარებით გადაწყვიტა.

თამარ ჩერგოლეიშვილის ხმაურიან გაცხადებას „ევროპულ საქართველოში“ გამოეხმაურნენ.

გიგა ბოკერია ამბობს, რომ დღეს საზოგადოებას ამ თემაზე დისკუსია ნაკლებად აინტერესებს. ბოკერია ამბობ, რომ მოქალაქეებს აინტერესებთ, როგორ გამოვა ქვეყანა შექმნილი რთულ ვითარებიდან.

გიგა ბოკერია აღნიშნავს, რომ თავის დროზე ნაციონალური მოძრაობის შიგნით განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი მიხეილ სააკაშვილის რეიტინგის საკითხს უკავშირდება.

– განხეთქილება რატომ მოხდა? მათ შორის მაგიტომაც. ჩვენ გვინდა ცვლილებები და წინსვლა „ევროპულ საქართველოს“, ივანიშვილს უნდა, რომ დღევანდელი კატასტროფა შეინარჩუნოს მისი უკონტროლო ძალაუფლების და სააკაშვილს უნდა, რომ დაბრუნდეს 2012-მდე ვითარებაში. მაგრამ ამ ყველაფერზე სერიოზული დისკუსია მე მეჩვენება სისულელედ. ხომ მაქვს უფლება, ასეთი პოზიცია მქონდეს? და ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანასა და მოქალაქეებს ეს დისკუსია არ აინტერესებთ. მათ აინტერესებთ, ქვეყანა როგორ გამოვა ამ ჩიხიდან და არა ის, როდის ვის როგორი რეიტინგი ექნებოდა პრემიერობისთვის, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ირმა ინაშვილი ნაძალადევში მაჟორიტარად იყრის კენჭს

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ნაძალადევში მაჟორიტარ კანდიდატად იყრის კენჭს.

ამის შესახებ გუშინ, 8 სექტემბერს, პარტიის შეკრებაზე გახდა ცნობილი.

– ირმა ინაშვილი იქნება ჩვენი პირველი და მთავარი მაჟორიტარობის კანდიდატი ნაძალადევის რაიონში, თბილისში, იქ, სადაც შალვა ნათელაშვილია, მგონი, ზუსტად, ჰოდა, ყველაფერი გამოჩნდება, – თქვა დავით თარხან– მოურავმა.

ნაძალადევში ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილია.

მმართველი პარტიიდან კენჭს მიხეილ ყაველაშვილი იყრის.

ამირან გამყრელიძე: „ყველა მშობელს ვთხოვ, დაიცვან რეკომენდაციები“

– მოგეხსენებათ, რომ ერთ კვირაში იწყება სწავლა. ეს არის მობილობის კიდევ ერთი ზრდა და ყველას მშობელს ვთხოვ, დაიცვან ის რეკომენდაციები, რომლებიც უკვე გაცემულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

ამის შესახებ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ პრემიერ-მინისტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან სამუშაო შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, სკოლის დაწყება გამოიწვევს მობილობის მკვეთრ ზრდას. აუცილებელია რეკომენდაციების დაცვა, რათა ხელი შევუშალოთ ვირუსის გავრცელებას.

– მხედველობაში მაქვს პატარა ბავშვები და წესების დაცვა. ეს არის მობილობის ყველაზე დიდი ზრდა, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

რა შემთხვევაში გაძვირდება პური საქართველოში

რუსეთში ხორბლის გაძვირებას, შესაძლოა, საქართველოში პურზე ფასის მატება მოჰყვეს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რუსული საექსპორტო ხორბალი კიდევ 15 დოლარით გაძვირდა. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ მეხორბლეთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან სილაგავამ განუცხადა.

როგორც ცნობილია, ბოლო დღეებში რუსეთში ხორბლის ფასი იზრდება. გასულ კვირასთან შედარებით ზრდამ 9-10 დოლარი, გასულ წელთან შედარებით კი, 22-23 დოლარი შეადგინა. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ საექსპორტო ხორბლის ღირებულება ერთ ტონაზე კიდევ 12-13 დოლარით გაიზარდოს. ამ დროისთვის ერთი ტონა რუსული ხორბლის საექსპორტო ფასი 2012-2013 დოლარია.

საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა ამბობს, რომ მიუხედავად ხორბლის ფასის მატებისა, საქართველოში ფქვილის ფასის ზრდა მოსალოდნელი არ არის, რუსეთში ხორბლის ფასი კიდევ 15 დოლარით თუ არ გაიზარდა.

„შესყიდვები ჩვენ მიერ მუდმივად ხორციელდება. პანდემიის პირობებში, მარაგების შესახებ რეკომენდაცია გაზრდილია და ჩვენც მივყვებით ამ გაზრდილი მარაგის პრინციპს, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საკოორდინაციო შტაბთან ერთად მარაგების კონტროლი.

რა თქმა უნდა, ფასების ზრდის მსოფლიო ტენდენცია ჩვენზეც აისახება, მაგრამ, მარაგებიდან გამომდინარე, მდორედ მიმდინარეობს პროცესი. თუ ფასი კიდევ 15 დოლარით არ გაიზარდა, ჩვენთან ფქვილი და, შესაბამისად, პური არ გაძვირდება. შემდეგ შეიძლება იყოს გარკვეული ცვლილებები, მაგრამ არა – დრამატული. ფქვილის ბაზარზე არსებობს ორი რისკი – ფქვილის ფასი და ლარის კურსი. რომელიმე ფაქტორი რადიკალურად თუ არ შეიცვალა, არ უნდა ველოდოთ ცვლილებებს. ამ ეტაპზე ქვეყანას 1,5-2 ორი თვის მარაგი აქვს“, – განაცხადა სილაგავამ.

სილაგავა ამბობს, რომ ხორბლის ერთადერთი იმპორტიორი წელსაც რუსეთი იქნება თუ არა, ამას 20 დღეში ყაზახეთში აღებული მოსავალი განაპირობებს.

„გასულ წელს ყაზახეთში ხორბლის ძალიან ცუდი მოსავალი იყო, შესაბამისად, სატრანსპორტო მდგენელის სუბსიდირების მექანიზმი ვერ იქნა გამოყენებული, რაც ყაზახეთსა და საქართველოს აქვს. წელს, სექტემბრის შუა რიცხვების შემდეგ გაირკვევა, როგორი იქნება მოსავალი იქ და რამდენის იმპორტირებას შევძლებთ, ასევე, როგორი იქნება ფასი, ეს 20 დღის შემდეგ გვეცოდინება, როცა ყაზახეთში ხორბლის აღება აქტიურ ფაზაში შევა“, – აღნიშნა სილაგავამ.

მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, წელს საქართველოში, სამწუხაროდ, არ იყო კარგი მოსავალი და მხოლოდ ჩვენი მოთხოვნის 10%-ზე ნაკლების დაკმაყოფილებას შევძლებთ: „მაგრამ პროგრამებით, რომლებიც ამოქმედდა, 2-3 წელიწადში იმედი გვაქვს, რომ ცოდნისა და ტექნოლოგიის ხარჯზე საერთო მოთხოვნის 40%-ს უზრუნველვყოფთ, რაც ჩვენი მაქსიმუმია“, – ამბობს სილაგავა.

შეგახსენებთ, საქართველოში ხორბლის ერთადერთი იმპორტიორი რუსეთია. 2020 წლის იანვარ-ივლისში ჩრდილოეთ მეზობელ ქვეყანაში საქართველომ 222,840 ტონა ხორბალი და მესლინი იყიდა, ჯამში, 49,371 მლნ დოლარის ღირებულების.

„ჯერ სუფრასთან იჩხუბეს, მერე დანა დაარტყა და მიიმალა“

ლაგოდეხში მ.ხ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნეს. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაკავებულია 1 პირი – 1993 წელს დაბადებული მ.ხ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თანასოფლელს – 1977 წელს დაბადებულ ა.უ.-ს, სადღესასწაულო სუფრაზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, გულმკერდის არეში ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი გადაყვანილია საავადმყოფოში და შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დააკავა. ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ცვლილება ღია რესტორნებისთვის

მაგიდასთან დასაშვებ პირთა ლიმიტი გაიზარდა

ჯანდაცვის მინისტრმა საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის განახლებული რეკომენდაციები დაამტკიცა.

კერძოდ, ცვლილება ღია ტიპის რესტორნებს შეეხება. როგორც დამტკიცებულ რეკომენდაციებშია აღნიშნული, თუ ღია სივრცის (ტერასა/ვერანდა/ღია რესტორანი) მქონე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ერთ მაგიდასთან მაქსიმუმ 6 ადამიანის განთავსება იყო შესაძლებელი, ახლა ეს რაოდენობა 12-მდე გაიზარდა. დამატებით, გამონაკლისის სახით შესაძლებელია 12 წლამდე მოზარდის ერთ მაგიდასთან განთავსება.

რაც შეეხება ღია რესტორნებისთვის ახლად დამტკიცებულ სხვა რეკომენდაციებს, ისინი ასე გამოიყურება:

მომხმარებელთა მაგიდებს შორის დაიცავით უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა; სკამების საზურგეებს შორის – მანძილი არანაკლებ 1 მეტრისა;

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება 2-მეტრიანი უსაფრთხო დისტანციის დაცვა, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს დროებითი დამცავი ბარიერი;

გამასპინძლებისას გამოიყენეთ ინდივიდუალური გამასპინძლების მეთოდი;

სასმელებით მომსახურების სივრცეში (ბარი), ბარმენებთან მომხმარებლების პირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით სასმელით მომსახურება უზრუნველყავით ინდივიდუალურად, მაგიდასთან მიტანის სერვისით;

უზრუნველყავით შენობების გარეთ მაგიდებსა და საფეხმავლო სივრცეს შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვა.

„თამუნასთან ინტიმური ურთიერთობა არ მქონია“

„პარიზში 4 დღე ერთად ვიყავით... ისე დამშორდა, მიზეზი არ უთქვამს“

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა 23 წლის პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმის მასალებს პერმანენტულად აქვეყნებს, მაინც ყველაფერი ისევ ბურუსით არის მოცული.

„ამბებმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა 23 წლის თემურ ჭანუყვაძის ჩვენება, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ბაჩალიაშვილის შეყვარებული იყო.

თემურ ჭანუყვაძე ჩვენებაშიც ადასტურებს, რომ ის ნამდვილად იყო თამუნას შეყვარებული და ამბობს, რომ ერთმანეთს ერთი წლის წინ დაშორდნენ. აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა თამარ ბაჩალიაშვილის დედამ თეონა თამაზაშვილმაც:

– თემურ ჭანუყვაძე იყო ჩემი შვილის ცხოვრებაში. ის უაღრესად კარგი პიროვნებაა. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ თამუნა და თემური ერთად ყოფილიყვნენ, მაგრამ თამუნამ კარიერა აირჩია. არსებობს ალბომი, სადაც მათი ერთად გადაღებული ფოტოებიც არის, ბაჩანასა და სამსახურის უფროსისგან განსხვავებით, რომელსაც ტყუილად აბრალებენ, რომ თამუნას მოსწონდა. წავიკითხე ბატონი თემურის ჩვენება და ის ნამდვილად ღირსეულად მოიხსენიებს თამუნას თავის ჩვენებაში.

თემურ ჭანუყვაძე ჟურნალისტებთან კონტაქტზე არ გამოდის. გთავაზობთ მისი ჩვენების ფრაგმენტებს:

„ვცხოვრობ ზემოაღნიშნულ მისამართზე ქირით, მარტო. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტზე (ქართულ-ფრანგული), მე-3 კურსზე. დაახლოებით ერთი წელია, ვმუშაობ შპს „ალფა სოფთ ვეარში“, ვარ პროგრამისტი.

უნივერსიტეტში, ანალოგიურ ფაკულტეტზე, თამარზე ერთი კურსით დაბლა ვსწავლობდი და ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანით. როგორც მახსოვს, 2016 წლის სექტემბრის თვეში ვნახეთ პირველად ერთმანეთი და მალე დავმეგობრდით. ჩვენ ბევრი საერთო საგანი გვქონდა და სპეციალურად ვირჩევდით ერთნაირ საგნებს, რომ ერთად მოვხვედრილიყავით ლექციებზე. გაცნობიდან რამდენიმე თვეში ჩვენ ერთმანეთის მიმართ გრძნობები გაგვიჩნდა. 2017 წლის მარტიდან დავიწყეთ უფრო ხშირი კონტაქტი. მახსოვს, 2017 წლის მარტის თვეში თამუნას გავყევი დიდუბეში ექიმთან, საიდანაც გამოსულებმა ვისეირნეთ.

თამუნა მუშაობდა შპს „ზეგში“ პროგრამისტად, წერდა პროგრამებს, ახდენდა ძველი პროგრამების ახლით ჩანაცვლებას და ა.შ. თამარი ხშირად მომმართავდა ხოლმე პროგრამირებისას პატარ-პატარა შეკითხვებით, რაშიც, რაც შემეძლო, ვეხმარებოდი, თუმცა, რაც ეხება მთლიანად სურათს, რას აკეთებდა, არ ვიცოდი, რადგან აღნიშნულზე არ საუბრობდა, არ მეუბნებოდა. მისგან ვიცოდი, რომ აღნიშნული სამსახური იყო მისთვის პირველი და ძალიან უჭირდა მუშაობა. იმასაც ამბობდა, სამსახურში ცუდი გარემოაო, თუმცა, რასაც აღმიწერდა, ცუდ გარემოებაზე არ მიუთითებდა.

ვფიქრობდი, რომ ეს უფრო პირველ სამსახურთან ნერვიულობასთან იყო დაკავშირებული. დროთა განმავლობაში თამუნა სამსახურს შეეჩვია, უფრო გააქტიურდა. მას სამსახურმა ლეპტოპი „მაკპრო“, ანუ პროფესიონალი შეუძინა და სამსახურებრივი საქმიანობისთვის გადასცა, თუმცა თამუნას მისი ტარება ყველგან შეეძლო, ანუ სამსახურის გარეთაც. აქვე დავაკონკრეტებ, რომ სამსახურზე ბევრს არ საუბრობდა. მისი სამსახური მდებარეობდა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე №15-ში. მისთვის ხშირად მიმიკითხავს სამსახურთან, თუმცა სამსახურში არასდროს შევსულვარ, გარეთ ველოდებოდი და ტრანსპორტამდე ვაცილებდი. დავაკონკრეტებ, რომ სამსახურში შესვლაზე თავადაც არასოდეს უთქვამს რაიმე, პირიქით, სულ იმას ამბობდა, აქამდე ნუ მაცილებ, უხერხულიაო.

ჩვენი ურთიერთობის მანძილზე მე და თამუნა სამსახურის მიმდებარედ გავდიოდით ხოლმე სასეირნოდ და ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე, თუმცა სამსახურზე – არასდროს. საუბრისას მას არასდროს უთქვამს, რომ სახლში ან სამსახურში რაიმე პრობლემა ჰქონდა. ზოგადად ამბობდა ხოლმე, მაგ. როცა გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი, ამაზე ნერვიულობდა, ან სამსახურში თუ რამე საქმე ჰქონდა დასამთავრებელი – იმაზე. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დეტალებზე არ საუბრობდა.

სულ ვცდილობდი გამერკვია, რამე პრობლემა ჰქონდა თუ არა, რათა დავხმარებოდი, თუმცა არასდროს საუბრობდა სერიოზულ პრობლემებზე და შთაბეჭდილებას მიქმნიდა, რომ იყო უპრობლემო და ცოტა ჩაკეტილი.

2018 წლის იანვრის თვეში თამუნამ უნივერსიტეტში მოიგო კონკურსი და საფრანგეთში 6 თვით გაცვლითი პროგრამით წავიდა სასწავლებლად. როგორც მახსოვს, ის 2018 წლის 11 იანვარს გაფრინდა. საფრანგეთში მისი ყოფნის პირველ პერიოდში, თავიდან უფრო ხშირად ვწერდით ერთმანეთს „ფეისბუზზე“ და „ვოთსაფზე“, თუმცა შემდეგ შევამცირეთ კონტაქტი, რადგან მანძილმა მაინც იმოქმედა. როდესაც თამუნა საფრანგეთიდან ჩამოვიდა, მის დაბადების დღეს, 19 ივნისს სამსახურთან მივაკითხე, მივულოცე და, როგორც მახსოვს, ვაჩუქე „სამსუნგის“ ფირმის მობილური. იმ დღეს თამუნა დაბადების დღეს სახლში აღნიშნავდა, ამიტომ მობილური ვაჩუქე და სახლში დავბრუნდი.

ჩემმა ოჯახმა ამ ურთიერთობის შესახებ იცოდა და ამის თაობაზე თამუნასათვის ცნობილი იყო, რადგან ხშირად მოიქვამს მისთვის – დედაჩემმა და ჩემმა დამ მოგიკითხა-თქო. უფრო ჩემი და კითხულობდა ხოლმე. რაც შეეხება მეგობრებს, ძირითადად, ჩვენს საერთო ნაცნობებს ვიცნობდით. თამუნას უნივერსიტეტის გარეშე მეგობრებიდან მხოლოდ დეა კაპანაძეს ვიცნობდი, რომელთანაც მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა. 2019 წლის იანვრის თვეში თამუნა მეორედ წავიდა საფრანგეთში გაცვლითი პროგრამით. ამ შემთხვევაშიც ერთმანეთთან თავიდან უფრო ხშირი მიმოწერა გვქონდა, თუმცა შემდეგ ისევ გაცივდა ჩვენი ურთიერთობა.

2019 წლის თებერვალში მის სანახავად საფრანგეთში გადავწყვიტე წასვლა. თავიდან სიურპრიზის გაკეთება მინდოდა, მაგრამ შემდეგ მაინც ვუთხარი და ისე ჩავაკითხე ოთხი დღით. ეს ოთხი დღე თითქმის სულ ფეხით დავდიოდით, ლამის მთელი პარიზი შემომატარა და დამათვალიერებინა. თამუნა ძალიან გახარებული იყო ჩემი ჩასვლით, მხიარულ ხასიათზე იყო. ბოლო დღეს მახსოვს, პარიზის გარეუბანში ვიყავით გასული, სადაც ადგილობრივ ტრანსპორტში ავედით. არ ვიცოდით, რომ ბილეთები თურმე ასვლამდე უნდა გვეყიდა, ტრანსპორტში პოლიციამ შეგვამოწმა და ორივე ერთად ჯამში 70 ევროთი დაგვაჯარიმა. ვცდილობდით, პოლიციელისთვის აგვეხსნა, რომ გვეგონა, ბილეთს ტრანსპორტში შევიძენდით, თუმცა ამ დაჯარიმების გამო თამუნა ისე განერვიულდა, ახსნა-განმარტება შეეწყვიტე და თავად გადავიხადე ჯარიმა, რადგან, როგორც გითხარით, არ მინდოდა, ენერვიულა.

რა წერია თემურ ჭანუყვაძის ჩვენებაში

თამუნა მის დაბადების დღემდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა საფრანგეთიდან, თუმცა ჩემთან კომუნიკაციას თავს არიდებდა, ჩემს მიწერილსაც ცივად პასუხობდა და ჩავთვალე, რომ პარიზში ყოფნისას ჩემთან ურთიერთობა არ მოეწონა და ამ ურთიერთობის დასრულება უნდოდა. რაღაც პერიოდში გავწყვიტე კონტაქტი, მაგრამ ივლისის თვეში მაინც მივწერე – თუ ვშორდებით, ნორმალურად მაინც დავშორდეთ, მოდი, შევხვდეთ და ვილაპარაკოთ-თქო. როგორც მახსოვს, იმ პერიოდში უნივერსიტეტში პროექტების პრეზენტაცია ხდებოდა და იქ დავგეგმეთ, შევხვედროდით და გველაპარაკა.

მე პირველი მივედი და, როდესაც თამუნა მოვიდა, ვილაპარაკეთ. ვეკითხებოდი, მითხარი, რა ხდება, იქნებ შეგვიძლია, გამოვასწოროთ-მეთქი. ის პირდაპირ პასუხებს არ მეუბნებოდა, თუმცა ვხედებოდი, რომ აღარ სურდა ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება. მინდოდა, გამერკვია ჩვენი ურთიერთობა, რადგან არ მინდოდა, დავშორებულიყავით. პირდაპირ არ მეუბნებოდა, მაგრამ საუბრით მიმახვედრა, რომ დაშორება უნდოდა, ვამჯობინე და პირდაპირ ვუთხარი – დავშორდეთ-თქო. ისიც დამთანხმდა, თუმცა, ისე დამთანხმდა და დამშორდა, მიზეზი არაფერი უთქვამს.

დაშორების შემდეგ მან მაისური მაჩუქა და მითხრა, ეს პარიზში შენთვის ვიყიდე და შენ გქონდესო. აღნიშნულის შემდეგ, 2019 წლის ივლისის თვიდან, მე მასთან კონტაქტი აღარ მქონია და აღარც თავად შემხმიანებია. მასთან ყველანაირი მიმოწერა წაშლილი მაქვს როგორც კომპიუტერში, ისე – მობილურში“...

„კითხვაზე გიპასუხებთ, რომ თამარ ბაჩალიაშვილი იყო ძალიან განათლებული პიროვნება. ის იყო დამოუკიდებელი, ყველაფერს თავად უმკლავდებოდა და არ უყვარდა, სხვები რომ ერეოდნენ მის საქმეში. ჩემთან ურთიერთობაში ის იყო გახსნილი, თუმცა ყველა დეტალს არ ყვებოდა, არ წვრილმანდებოდა, ზოგადად საუბრობდა თავის პრობლემებზე, რომლებზეც ზემოთაც აღვნიშნე“.

„გიპასუხებთ, რომ თამუნა ოჯახზე ძირითადად არ საუბრობდა, ზოგადად ამბობდა ხოლმე, რომ მისი დაგვიანება ოჯახში არ მოსწონდათ, რის გამოც ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება, თუმცა რამე სერიოზული არასდროს უხსენებია“.

„კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე და თამუნა შეყვარებულები ვიყავით დაახლოებით ორწელიწადნახევარი. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ჯამში, ერთი წელიწადი თამუნა საფრანგეთში იყო, დანარჩენი პერიოდის განმავლობაში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსეირნობდით. ჩვენმა საერთო ნაცნობებმა იცოდნენ ჩვენი ურთიერთობის შესახებ, თუმცა, საერთო ნაცნობების გარდა, მის სხვა მეგობრებს არ ვიცნობდი, დეას გარდა და, შესაბამისად, მათთან ურთიერთობა არ მქონია“.

„კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ამა წლის 18 ივლისს მე დეასგან გავიგე, რომ თამუნა დაკარგული იყო და ეძებდნენ – დეა შემეხმიანა და მკითხა, რამე ხომ არ იცი მის შესახებო. ამის შემდეგ მეც ვცდილობდი, ჩვენს საერთო ნაცნობებში გამერკვია თამუნას ადგილსამყოფლის შესახებ, თუმცა, სამწუხაროდ, არავინ არაფერი იცოდა“.

„კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე თამუნას ამა წლის 19 ივნისს მივწერე „ფეისბუქზე“ და დაბადების დღე მივულოცე. მან მადლობაო, მომწერა და ამის მეტი ერთმანეთისთვის არაფერი მიგვიწერია. რაც შეეხება ნახვას, ის რამდენიმე თვის წინ, პანდემიამდე, უნივერსიტეტში ერთ-ერთ ივენთზე ვნახე, ისიც შორიდან დავინახე და მასთან უშუალო კომუნიკაცია არ მქონია“.

„კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე და თამუნას ინტიმური ურთიერთობა არ გვქონია. შეყვარებულობის პერიოდში ხშირად გვისაუბრია, რომ გვინდოდა, ჯერ მყარად დავმდგარიყავით ფეხზე კარიერული თვალსაზრისით და მერე გვეფიქრა ურთიერთობის გაღრმავებაზე, თუმცა ჩვენი ურთიერთობა იქამდე არ მივიდა. თამუნა არ ცდილობდა ჩვენი ურთიერთობის გასერიოზულებას, არ ვიცნობდი მის სამეგობროს, საბოლოოდ თავად უფრო და უფრო ცივდებოდა და დავშორდით. დაშორების შემდეგ ბევრი ვიფიქრე იმაზე, რამ გამოიწვია მისი გაცივება და რატომ გადაწყვიტა დაშორება და მივედი იმ დასკვნამდე, რომ სხვა მამაკაცი არაფერ შუაში იყო. მან კარიერა ამჯობინა პირად ცხოვრებას“.

„შეკითხვაზე გიპასუხებთ, მე არ ვიცი, თამუნას ჰქონდა თუ არა სუიციდის მცდელობა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის საწყის ეტაპზე გვქონდა ასეთ თემაზე საუბარი. სხვა მისგან და მასზე მსგავსი არაფერი გამიგია“.

❖ ❖ ❖

ამ რამდენიმე დღის წინ დეა კაპანაძემ განაცხადა, რომ თამარ ბაჩალიაშვილის ჩაწერილი ერთ-ერთი ვიდეო მისი პირადი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მისი მტკიცებით, 2018 წელს სოციალურ ქსელ იუთუბის გვერდზე თამარმა ატვირთა ვიდეო, რომელშიც საუბრობდა ნიკა გეჯაძეზე (კომპანია „ზეგში“ თამარ ბაჩალიაშვილის უფროსი), როგორც მის ახალ სიყვარულზე, ეს ვიდეო ნახა იმ დროს ბაჩალიაშვილის შეყვარებულმა და ამით ეს ურთიერთობა დასრულდა.

თემურ ჭანუყვაძის ჩვენება ამ ვერსიას გამორიცხავს.

თელავიდან გაუჩინარებული 13 და 14 წლის დეები პოლიციამ იპოვა

თელავში გუშინ, 8 სექტემბერს, გაუჩინარებული ორი არასრულწლოვანი გოგონა პოლიციამ იპოვა. ამის შესახებ ინფორმაცია „პრაიმტაიმს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

13 და 14 წლის გოგონები სოფელ შაქრიანიდან თელავში წავიდნენ, რის შემდეგაც მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო.

უწყების ცნობით, ორივე მათგანი თელავი-თბილისის მიმართულებით მიკროავტობუსით მგზავრობდა. არასრულწლოვნები თავს კარგად გრძნობენ.

მომხდარ ფაქტზე გრძელდება გამოძიება.

„ივიკო ფრუიძემ დედა შეგვაგინა და ჩხუბი მერე დაიწყო“

სტრიპტიზ-ბარის მფლობელი ცოლ-ქმარი დააკავეს

სტრიპტიზ-ბარ სქაი გერლზში მომხდარი ცემის ფაქტზე პოლიციამ კიდევ ერთი პირი დააკავა. დაკავებული ბარის მფლობელის მარიანა ჩხეიძის ქმარი რომან ჩხეიძეა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ბარის 3 სხვა თანამშრომელთან ერთად, რომლებიც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკვე დააკავეს, დაწესებულების სტუმრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარის შედეგად, ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო 1986 წელს დაბადებულმა ორმა პირმა – ი.ფ.-მ და ი.გ.-მ, რომლებსაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

გამოძიება ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. ასევე, გრძელდება ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები ახალი გარემოებებისა და აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან შესაძლო შემხებლობაში მყოფი სხვა პირების გამოკვეთისა და დაკავების მიზნით“.

რომან ჩხეიძე და მისი მეუღლე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ მათმა უფლებადამცველმა ლიკა ბითაძემ განუცხადა.

– ბრალდებას არ ვეთანხმებით. ივა ფრუიძე და მისი მეგობარი გოგალაძე პირველ ჩვენებაში ამბობდნენ, არ გვახსოვდა, სკამი ვინ ჩაგვარტყაო და ხუთი დღის შემდეგ გაახსენდათ? რომან ჩხეიძე ინციდენტის დროს ბარში იმყოფებოდა, რადგან მისი მეუღლეა ბარის მფლობელი, მაგრამ მას ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია.

მისი ამოცნობა ხუთი დღის შემდეგ მოხდა ფოტოებით, რომელიც დაუშვებელი მტკიცებულებაა, იმიტომ რომ ამოცნობამდე ხუთი დღე ტელევიზორში იყო ადამიანი და მის ამოცნობას

რა უნდოდა? აბსურდია ამოცნობის პროცედურა. არც ჩხეიძე და არც მისი მეუღლე მარიანა დანაშაულს არ აღიარებენ.

– რას ჰყვებიან ინციდენტზე?

– ისინი ამბობენ, რომ აქეთ მიაყენა ივა ფრუიძემ შეურაცხყოფა, დედა შეაგინა და ამას მოჰყვა ჩხუბი, რომელშიც დაცვა მონაწილეობდა და, როგორც თავად ამბობენ, სკამი არ ჩაურტყამს მარიანას მისთვის.

კახეთში ქალის მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის ტარიელ ლამაზოშვილსა და დავით ჯავახიშვილს — 20-20, თორნიკე მანჯავიძეს კი 17 წელი მიესაჯათ

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობისთვის და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულები ტარიელ ლამაზოშვილი, თორნიკე მანჯავიძე და დავით ჯავახიშვილი დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 5 ნოემბერს, ტ.ლ., დ.ჯ., დ.ა. და თ.მ. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში ყაჩაღობის მიზნით თ.ბ.-ს საცხოვრებელ სახლში შეიჭრნენ, თავს დაესხნენ თ.ბ.-ს, მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანებები და თანხა და ოქროს ნივთები მოსთხოვეს. უარის მიღების და დაზარალებულის მიერ გაწეული წინააღმდეგობის შემდეგ, თავდამსხმელებმა თ.ბ. მოკლეს, შემდეგ კი თ.ბ.-ს ოჯახის კუთვნილი 7,900 ლარის ღირებულების ოქროს ნივთებს, 3,100 ლარს, 1.600 ლარად ღირებულ ლეპტოპს დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ტ.ლ., დ.ჯ. და თ.მ. 2019 წლის 9 დეკემბერს დააკავეს. ტ.ლ.-ს და თ.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ჩადენილი ჯგუფურად, ანგარებით), 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჯგუფურად, ჩადენილი არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით), ხოლო დ.ჯ.-ს 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით , მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ჯგუფურად, ანგარებით, არაერთგზის) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) წარედგინათ.

თელავის რაიონულმა სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ტ.ლ.-ს და დ.ჯ.-ს – 20-20 წლით, ხოლო თ.მ.-ს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რაც შეეხება მეოთხე ბრალდებულ დ.პ.-ს, ვინაიდან იგი ემალება გამოძიებას, ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტით და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით. დ.პ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

ამჟამად თელავის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს.

„რუსეთმა უნდა გამოიძიოს, ვინ მოწამლა ნავალნი“

გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხებში მიშელ ბაჩელეტმა რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა, ალექსეი ნავალნის მოწამვლა გამოიძიოს ან დამოუკიდებელ გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

– უბრალოდ, იმის უარყოფა, რომ ის არ მოუწამლავთ, საკმარისი არ არის. რუსეთის ხელისუფლება ვალდებულია, სრულად გამოიძიოს, ვინ იყო პასუხისმგებელი ამ დანაშაულზე – ძალიან მძიმე დანაშაულზე, რომელიც რუსეთის მიწაზე ჩაიდინეს, – აღნიშნა მიშელ ბაჩელეტმა.

მისივე თქმით, ბოლო ოცწლეულის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ რუსეთის მოქმედი ან ყოფილი მოქალაქეების მოწამვლისა და მკვლელობის მცდელობის სხვა ფორმების რაოდენობა უკიდურესად შემაშფოთებელია.

შეგახსენებთ, გერმანიის მთავრობაში რამდენიმე დღის წინ განაცხადეს, რომ რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი „ნოვიჩოკის“ მსგავსი ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით მოწამლეს.

სვეტლანა ტიხანოვსკაია: „ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსს აღარ წარმოადგენს“

– მომავალში ალექსანდრე ლუკაშენკოსთან გაფორმებულ ნებისმიერ საერთაშორისო ხელშეკრულებას ბელარუსის დემოკრატიულად არჩეული მთავრობა არ დაიცავს.

ამის შესახებ ბელარუსის ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ განაცხადა.

– ქვეყნები ან პარტიები არ შეიძლება და არ უნდა ელოდნენ, რომ ბელარუსი ხალხი და მათი დემოკრატიულად არჩეული მთავრობა არალეგიტიმური რეჟიმის მიერ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაიცავს. ლუკაშენკოს, როგორც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, არანაირი ლეგიტიმაცია არ გააჩნია. ის ბელარუსს აღარ წარმოადგენს, – აღნიშნა ტიხანოვსკაიამ.

მან გუშინ, 8 სექტემბერს, ევროპის საბჭოს კომიტეტს ვიდეოჩართვის საშუალებით ლიეტუვიდან მიმართა.

7 სექტემბერს ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩიუსმა განაცხადა, რომ რუსეთთან ღრმა ინტეგრაციაზე ხელშეკრულების გაფორმებით ლუკაშენკო საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობას თმობდა.

საფრანგეთის პრემიერი კასტექსი თვითიზოლაციაში გადავიდა

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟან კასტექსი თვითიზოლაციაში გადადის მას შემდეგ, რაც მას კონტაქტი ჰქონდა ტურ დე ფრანსის დირექტორ კრისტიან პრიუდომთან, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა.

ამის შესახებ ინფორმაციას „ევრონიუსი“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, შეხვედრის დროს ორივეს პირბადე ეკეთა, თუმცა ჟან კასტექსი კორონავირუსზე ჩატარებული ტესტის პასუხის მიღებამდე თვითიზოლაციაში ყოფნას გეგმავს.

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას მიესალმა და განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა იგივე უნდა გააკეთონ, რის გაკეთებასაც მოქალაქეებისგან ითხოვენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ყოფილმა დამნაშავემ პოლიციელი გადაარჩინა

ყოფილმა ძებნილმა დამნაშავე ქალმა დაღუპვას გადაარჩინა პოლიციელი, რომელმაც ოდესღაც ის დააპატიმრა.

ჯოსელინ ჯეიმსი ნარკოდამოკიდებული იყო და არაერთხელ დაურღვევია კანონი. პოლიციელმა ტერელ პოტერმა ის ორჯერ დააპატიმრა და მრავალი ბრალდება წაუყენა.

2013 წელს ჯეიმსმა ნახევარი წელი გაატარა სარეაბილიტაციო ცენტრში და ნარკოდამოკიდებულებისგან გათავისუფლდა. ამის შემდეგ მან ნარკომანების რეაბილიტაციის საკუთარი არაკომერციული პროგრამა შეიმუშავა. 2013 წლიდან მოყოლებული, ყოფილი დამნაშავე 508 ქალს დაეხმარა.

გასული წლის დეკემბერში ფეისბუქზე ქალმა ნახა, რომ პოტერს თირკმლის გადანერგვა ესაჭიროებოდა. მან პოლიციელს დონორის სახით საკუთარი სამსახური შესთავაზა.

პოლიციელი, რომელიც რვა წელი ელოდებოდა პროცედურას, ასეთი შეთავაზებისგან გაოგნებული დარჩა, ვინაიდან ყოფილი დამნაშავის თირკმელი მის ორგანიზმთან სრულიად შეთავსებადი იყო.

– ეს, უბრალოდ, დამთხვევა კი არა, ღვთის წყალობაა. სხვაგვარად ვერც აიხსნება, – განაცხადა ტერელმა.

ქალმა სამედიცინო ტესტები გაიარა და აღმოჩნდა, რომ მისი თირკმელი ნამდვილად გამოდგებოდა პოლიციელისთვის გადასანერგად. შესაბამისი ოპერაცია მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს განხორციელდა და მან წარმატებით ჩაიარა.

ყველაზე ძვირადღირებული მონეტა აუქციონზე გაიყიდება

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს 1794 წელს გამოშვებული ვერცხლის მონეტა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ მონეტად ითვლება. 2013 წელს გამართულ აუქციონზე მსგავსი მონეტა ათ მილიონ დოლარად გაიყიდა.

პირველ დაბეჭდილ მონეტაზე გამოსახულია თავისუფლება, რომელიც ძველბერძნული ქალღმერთის სახითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ სულ ასეთი 1758 მონეტა იქნა გამოშვებული, ხოლო ჩვენს დრომდე მხოლოდ დაახლოებით 130-მა მონეტამ მოაღწია.

ეს მონეტები ძირითადად აშშ-ის საპატიო მოქალაქეებისა და კონგრესმენებისთვის იყო განკუთვნილი. სავარაუდოდ, გასაყიდად გამოტანილი მონეტა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონს ეკუთვნოდა.

ფეხმძიმე ჯიჯი ჰადიდი ტკბილეულს მიეძალა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა თავის ხელმომწერებს გაუზიარა ინფორმაცია იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ფეხმძიმობის დროს საკვების მიმართ.

25 წლის მოდელის თქმით, სავარაუდო მშობიარობამდე ორი კვირით ადრე მას სიგიჟემდე მოუნდა შაქრის მინანქარი, რომლითაც ტორტს ფარავენ. ჰადიდმა სწორედ ეს საკონდიტრო ნაწარმი ქვეყნის მეორე ბოლოში შეუკვეთა. გარდა ამისა, მან ტვიტერში საკუთარ გვერდზე კომპანიის წარმომადგენელს, რომელსაც პროდუქტი შეუკვეთა, დაუსვა შეკითხვა, აუცილებელი იყო თუ არა შაქრის მინანქრის მთელი კოლოფის გაღღობა, როგორც კი მას მიიღებდა.

– შემიძლია თუ არა ყოველ ჯერზე ერთი შეკვრის გალღობა, რათა ის რაც შეიძლება მეტხანს მეყოს? – დაწერა ჯიჯი ჰადიდმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტურისტებმა ტელეფონი იპოვეს და მისი პატრონი გადაარჩინეს

საკუთარ ქალიშვილთან და მის მეგობრებთან ერთად ექსკურსიაზე მყოფმა დანა პეისმა ტელეფონი იპოვა და მისი წყალობით დაკარგული ადამიანი იპოვა და გადაარჩინა.

ტურისტები ათდღიან ლაშქრობაში იმყოფებოდნენ მონტანას შტატში, რა დროსაც ერთ-ერთ მდელოზე დაბანაკდნენ. ამ დროს გოგონამ ბალახებში ტელეფონი შენიშნა, რომელიც მთლიანად იყო განმუხტული. როდესაც ტურისტები მანქანასთან დაბრუნდნენ, ტელეფონი დამუხტეს და ჩართეს. მათ მასში მოსული ბოლო შეტყობინების პასუხად გააგზავნეს სმს-ი, რომელშიც დაწერეს, რომ ტელეფონი მათ იპოვეს. 20 წუთის შემდეგ ტელეფონზე დარეკა მისი მფლობელის დამ და განაცხადა, რომ მისი ძმა ოთხი დღის წინ დაიკარგა.

ამის შემდეგ მამაკაცს პოლიცია დაუკავშირდა. დანამ მათ ადგილის ფოტოსურათი და ზუსტი კოორდინატები გადაუგზავნა, სადაც სმარტფონი იქნა ნაპოვნი, შემდეგ კი ტელეფონი პოლიციის განყოფილებაში მიიტანა.

ექვსი დღის შემდეგ დანამ მიიღო შეტყობინება დაკარგული მამაკაცის დისგან, რომელშიც ის იტყობინებოდა, რომ მისი ძმა ცოცხალი იპოვეს.

– ჩვენ არც კი ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა და სად მოგვეძებნა, რომ არა თქვენ, თქვენი ქალიშვილი და მისი მეგობრები. უბრალოდ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, – დაწერა გოგონამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ღამის სერენადები 2020“ თბილისური კონცერტით დაიხურა

ბათუმი-თბილისის საერთაშორისო კლასიკური მუსიკის ფესტივალი „ღამის სერენადები 2020“ თბილისური კონცერტით დაიხურა. მასში მონაწილეობა მიიღეს კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს ვირტუოზები“, დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა და პიანისტმა სანდრო ნებიერიძემ. დასკვნით კონცერტზე აჟღერდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ფრანც პეტერ შუბერტის, სანდრო ნებიერიძის, ანტონინ დვორჟაკისა და ლეოშ ია ნაჩეკის ნაწარმოებები.

ფესტივალი წლების წინ ვირტუოზმა პიანისტმა ლიანა ისაკაძემ დააარსა. ამჟამად ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია გიორგი ისაკაძე, ფესტივალის მთავარი დირიჟორია მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი, ფესტივალის დირექტორი კი ნინა ცაგარელია.

გიორგი ისაკაძე, „ღამის სერენადების“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

– ძალიან ემოციური იყო ჩვენთვის დასკვნითი კონცერტი, რადგან სწორედ ამ საღამოთი ერთმანეთს მომდევნო წლამდე დავემშვიდობეთ. კლასიკური მუსიკის XII საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიხსნა, შემდეგ კი საკონცერტო საღამოებმა, ტრადიციულად, თბილისში გადმოინაცვლა. გაიმართა ორი დაუვიწყარი საღამო, რომლებიც ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების პრემიერებით იყო გაჯერებული.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ბრწყინვალე სოლისტებს თამარ ლიჩელს, სანდრო ნებიერიძეს, ელენე შავერზაშვილს, ლიზა ჩხაიძეს, გია ყანჩელის სახელობის სიმებიან კვარტეტს, ჩვენს შესანიშნავ საბაზო ორკესტრს „საქართველოს ვირტუოზები“, კომპოზიტორებს გიორგი შავერზაშვილს, ვახტანგ მაჭავარიანს, სანდრო ნებიერიძეს, ჯიმშერ ჩხაიძეს. მადლობას ვუხდი ფესტივალის თითოეულ მონაწილესა და საორგანიზაციო ჯგუფის წევრს.

უდიდესი მადლობა უნიკალურ მევიოლინესა და დირიჟორს, ფესტივალის დამფუძნებელს, მუსიკოს ლიანა ისაკაძეს მისი ფასდაუდებელი ღვაწლისათვის ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

ნინა ცაგარელი, „ღამის სერენადების“ დირექტორი:

– თითქმის ათი წელია, ჩართული ვარ „ღამის სერენადების“ ორგანიზებაში. ყოველთვის ძალიან დაძაბული და ემოციურია ეს პროცესი. წელს განსაკუთრებული სირთულეებიც იყო, პანდემიის გამო ფესტივალზე დასწრება შეზღუდული გახლდათ, თუმცა ლაივსტრიმებისა და პირდაპირი ეთერის საშუალებით ათასობით მაყურებელს მიეცა საშუალება, თვალი ედევნებინა და ესიამოვნა კლასიკური მუსიკით. მიხარია, რომ სირთულეები დავძლიეთ და, პანდემიის მიუხედავად, ქალბატონი ლიანას მიერ 1982 წელს დაწყებული საქმე გრძელდება.

ვფიქრობ, ღირსეულად შევძელით ფესტივალის ჩატარება ჩვენი შესანიშნავი მუსიკოსების, საორგანიზაციო ჯგუფის, ტრადიციული პარტნიორებისა და მხარდამჭერების ერთობლივი ძალისხმევით.

ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:

– ბედნიერი ვარ. მთავარია, ფესტივალი ჩატარდა, მით უმეტეს, მსოფლიო პანდემიის დროს და თანაც ასე მაღალ დონეზე. არ გვაქვს უფლება, მოვეშვათ და დავიორგუნოთ. მუსიკა ხომ სულიერი საზრდოა. იგი აძლიერებს და განწყობას უმაღლებს ადამიანს. ამიტომაც ჩვენ მაყურებელს განსაკუთრებული ნაწარმოებები შევთავაზეთ.

საუკეთესოა ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“. ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა წლევანდელ ფესტივალში და ეს კიდევ უფრო სასიხარულოა.

ფენომენალური ლიანა ისაკაძის გარშემო ტრიალებს ეს ყველაფერი და სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. მადლობა ყველას, ვინც ასეთ რთულ დროს ათასობით ადამიანს „ღამის სერენადები“ აჩუქა.

სანდრო ნებიერიძე, პიანისტი:

– დიდი პატივია ჩემთვის, რომ ძალიან მნიშვნელოვან ფესტივალში მივიღე მონაწილეობა. ძალიან დიდი ისტორია აქვს „ღამის სერენადებს“. ის წლების განმავლობაში ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა დიდ ქალაქში, მონაწილეობის მისაღებად კი მსოფლიოში განთქმული მუსიკოსები ჩამოდიოდნენ.

მეორე წელია, ვმონაწილეობ ამ ფესტივალში და ვასრულებ მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. წელს ჩემი ნაწარმოების პრემიერაც შედგა. რთული იყო პანდემიური ვითარების გათვალისწინებით ამ ყველაფრის მაღალ დონეზე ჩატარება, მაგრამ ბათუმსა და თბილისში კონცერტები უდიდესი წარმატებით ჩატარდა.

გასული წლის სექტემბერში დავიწყე ამ ნაწარმოებზე მუშაობა, შემდეგ სხვა პროექტზე გადავერთე და რამდენიმე თვე ჩამივარდა. პანდემიის პერიოდში მივუბრუნდი ამ ნაწარმოებს და პანდემიის დროს დავასრულე. ექსპერიმენტული ნაწარმოები გამოვიდა, ბევრი იდეა შევაზავე, სხვადასხვა ჟანრსა და სტილში ვიმოგზაურე და, იმედი მაქვს, ამას მსმენელიც შეიგრძნობს.

ონლაინპრემიერა ძალიან დიდი ექსპერიმენტია, რადგან ამ პანდემიამ მთელი მსოფლიოს ცხოვრება შეცვალა. მოლოდინი დიდი იყო, პრემიერა ხომ განსაკუთრებული მოვლენაა ხელოვანისთვის. მთავარია, შენი ნაწარმოები დაამახსოვრდეს მსმენელს და მისი მოსმენა კიდევ მოუნდეს.

19 წლის ასაკში ჩამოყალიბებულ მუსიკოსად რომ აღიქვა თავი, ცოტა მიამიტობაა. როგორც ყველასთვის საყვარელი გია ყანჩელი იტყოდა, 50 წლის მერე რომ გარდაიცვლები, ხალხი თუ კიდევ ასრულებს შენს მუსიკას, ე.ი. მართლაც ღირსი ყოფილხარ აღიარების.

დიდი მადლობა „ღამის სერენადების“ ორგანიზატორებს ასეთი დაუვიწყარი საღამოებისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბარსელონის ყველაზე ცუდი 10 ტრანსფერი

ბარსელონა სატრანსფერო ბაზარზე ყოველთვის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იყო, თუმცა კატალონიელებსაც ჰქონდათ შეცდომები და ბევრი უსარგებლო ტრანსფერი განახორციელეს. ესპანურმა მედიამ კლუბის ისტორიაში 10 ყველაზე ცუდი შენაძენი შემოგვთავაზა.

დმიტრო ჩიგრინსკი

2009 წელს ბარსამ დაცვის ცენტრის გაძლიერება გადაწყვიტა. კატალონიელებმა დონეცკის შახტარის უკრაინელი უკანახაზელი დმიტრო ჩიგრინსკი 25 მილიონ ევროდ შეიძინეს. რა თქმა უნდა, ყველას გაუკვირდა მისი ფასი, რადგან კლასის მიხედვით ის ამდენი არ ღირდა. საბოლოოდ, გულშემატკივართა მოლოდინი გამართლდა და ჩიგრინსკის ბარსელონური კარიერა კრახით დასრულდა.

14 ჩატარებული მატჩის შემდეგ უკრაინელი მცველი უკან დონეცკში დაბრუნდა. 10 მილიონის სანაცვლოდ შახტარმა ტრანსფერზე თანხმობა განაცხადა. როგორც ხედავთ, ბარსამ თავისი არასწორი პოლიტიკის გამო 15 მილიონი იზარალა.

ალექსანდრ გლები

2008 წელს ბარსას ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ლონდონის არსენალის ბელარუსი შემტევი ალექსანდრ გლები იყო, რომელიც 17 მილიონად იქნა შეძენილი. საკმაოდ ნორმალური სტარტის შემდეგ ფეხბურთელმა მძიმე ტრავმა მიიღო, რომლის მოშუშებასაც დიდი დრო დასჭირდა. შემდეგ ფორმის აღდგენაც გაიწელა.

გვარდიოლას „ბარსაში“ ფეხის მოკიდება ურთულესი რამ იყო. გამონაკლისი არც გლები ყოფილა. მისი კარიერა, ფაქტობრივად, დაინგრა.

ჩავის, ინიესტას, კეიტას, ანრისა და სხვების ფონზე გლებმა ის დონე ვერ აჩვენა, რომელსაც კლუბი ელოდა. შემადგენლობაში მისი ადგილი აღარ რჩებოდა და ნელ-ნელა ყველაფერი ნათელი იყო...

ემანუელ პეტი

2000 წელს ლონდონის არსენალიდან 14 მილიონის სანაცვლოდ ბარსელონამ ემანუელ პეტი შეიძინა. თავად პეტიც აღნიშნავს, რომ ეს მისი ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

მსოფლიოს ჩემპიონმა ემანუელ პეტიმ ბარსას მაისურით მხოლოდ 38 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ისიც ძირითადად სკამიდან. მან კატალონია მალევე დატოვა და ლონდონის ჩელსის შეუერთდა.

ალექს სონგი

2012 წელს ბარსამ არსენალის მორიგი ფეხბურთელი შეიძინა – 19 მილიონი ევროს სანაცვლოდ კამერუნელი საყრდენი ალექს სონგი დაიმატა. „მეთოფეებში“ ნაყოფიერად მოთამაშე სონგმა ბარსელონის დონე ვერ დააკმაყოფილა და სათადარიგოთა სკამზე ღრმად გაიდგა ფესვები. ბუსკეტსის ფონზე სონგს შანსი არ ჰქონდა. კარიერის პიკში მყოფი ფეხბურთელი თადარიგში ყოფნით ვერ კმაყოფილდებოდა.

სონგმა 2 სეზონის განმავლობაში სულ 39 მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც არენდის წესით ვესტ ჰემში გადაბარგდა.

არადა, თავიდან კატალონიაში მიაჩნდათ, რომ სონგის შეძენით მათ რეალზე მეტად იხეირეს, რადგან მადრიდელებმა პარალელურად ლუკა მოდრიჩი გაიფორმეს. ვინ როგორ იხეირა, მგონი, თავადაც კარგად ხვდებით...

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

2009 წლის 26 ივლისს გასული სეზონის ტრიუმფატორმა და 6-დან 6 ტიტულის მომგებმა ბარსელონამ მეგატრანსფერი განახორციელა და ინტერიდან ზლატანი გაიფორმა.

ბევრისთვის ამ ტრანსფერის დეტალები მიუღებელი იყო, რადგან კლუბმა იბრას სანაცვლოდ 20 მილიონი და სამუელ ეტოო გადაიხადა. კამერუნელი ბარსას ლეგენდა გახლდათ და მის მიმართ ასე მოპყრობა ნამდვილად უსამართლო იყო.

იბრას კატალონიური კარიერა არც ისე ცუდად დაიწყო, თუმცა მესი ცრუ ცხრიანის პოზიციაზე თამაშს სულ უფრო მეტად „ამულამებდა“ და იბრასთვის მოედანზე სივრცე აღარ რჩებოდა. შვედს 9 ნოემბრის პოზიციაზე თამაში უნდოდა და, ზოგადად, მას სხვაგან არც არასდროს უთამაშია. მესი კი ყველაფერს აკეთებდა – ქმნიდა და გაჰქონდა კიდეც.

ზლატანის შედეგიანობამ იკლო. გუნდში 2 ლიდერი ვერ იქნება. ეს ფეხბურთის დაუწერელი კანონია და გუნდმა ზლატანის გაყიდვა გადაწყვიტა.

არდა თურანი

2015 წლის ზაფხულში ბარსელონამ ფორმის პიკში მყოფი არდა თურანი გაიფორმა. იქედან გამომდინარე, რომ არდა ძირითადის მოთამაშედ არ ითვლებოდა და რეალურად არც ყოფილა, მისი ბარსელონური მონაგარი არც ისე ცუდად გამოიყურება: 55 მატჩი, 15 გოლი და 11 საგოლე გადაცემა.

მესი-ნეიმარი-სუარესის ტრიოს ფონზე თურანს ძირითადად სკამზე ჯდომა უწევდა. აქედან გამომდინარე, მწვრთნელმა მისი „გადაკეთება“ მოინდომა და საკმაოდ ხშირად ლუის ენრიკე მას მოედნის ცენტრში ათამაშებდა, რაც დიდი შეცდომა იყო.

ანდრე გომეში

პორტუგალიელი ნახევარმცველი 2016 წლის ზაფხულში ბარსამ ვალენსიისგან დიდი იმედებით იყიდა. მესი-ნეიმარი– სუარესის შემხედვარე კლუბი ცდილობდა, ნახევარდაცვის ხაზი გაეძლიერებინა, რომ გუნდი უფრო სრულყოფილი გამხდარიყო, თუმცა ბართომეუ და მისი გუნდი უკვე მცდარ გზაზე იდგნენ და ამ ყველაფერს ნელ-ნელა ყველა ამჩნევდა.

არადა, გომეში რეალში გადასვლასთან საკმაოდ ახლოს იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ბარსელონამ 10 მილიონით მეტი გადაიხადა და პორტუგალიელი გაიფორმა.

გომეშის ტრანსფერი კატალონიურმა გამოცემებმა დიდი სიამაყით გამოაცხადეს და სათაურებად გამოიტანეს, რომ მათ რეალს ბოლო მომენტში აჯობეს და ფეხბურთელი ცხვირწინ აიცალეს.

78 მატჩი, 3 გოლი და 4 საგოლე გადაცემა – ასეთი იყო გომეშის ბარსელონური კარიერა, რის შემდეგაც მან თავისი კალიბრის გუნდს მიაშურა და ამჟამად ევერტონის ღირსებას იცავს.

ფელიპე კოუტინიო

2018 წლის 6 იანვარს ბარსელონამ დიდი წვალებისა და ომის შემდეგ ლივერპულიდან ფელიპე კოუტინიო გადაიბირა. ტრანსფერი ზაფხულში უნდა შემდგარიყო, თუმცა ინგლისელებმა მოლაპარაკებები გაართულეს და, ფეხბურთელის სურვილის მიუხედავად, ის მაინც არ გაყიდეს. საბოლოოდ, მოსახდენი მაინც მოხდა და ლივერპულმა ბრაზილიელი 145 მილიონად დათმო.

საბოლოოდ კოუტინიოთი მხოლოდ ლივერპულმა და მიუნხენის ბაიერნმა იხეირეს: მიღებული თანხით მერსისაიდელებმა ვან დეიკი შეიძინეს, ხოლო ბაიერნმა კოუტინიოსთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ჰო, ბაიერნში ლიგის მოგებით ბარსელონამ ლივერპულს დამატებით ფული გადაუხადა, რადგან კონტრაქტში ასე ეწერა...

პაკო ალკასერი

2015-2018 წლებში ბარსელონის ხელმძღვანელობამ დიდი რაოდენობით უაზრო ტრანსფერები განახორციელა. მათ შორის იყო პაკო ალკასერიც, რომელიც გუნდს 2016 წელს შეუერთდა.

ალკასერმა მოლოდინი ვერ გაამართლა. 50 მატჩში 15 გოლი და 8 საგოლე პასი. ესპანელმა კარიერა დორტმუნდში გააგრძელა, ამჟამად კი კვლავ ლიგაშია და ვილიარეალის რიგებში ასპარეზობს.

არტურ მელო

2018 წელს ბარსამ გრემიოდან ახალ ხავიდ შერაცხული არტურ მელო შეიძინა, რომელმაც ქომაგების გული მალევე მოინადირა. არტური ბურთს ჩინებულად ფლობდა და მას პრაქტიკულად არ კარგავდა. მისი მოძრაობები ჩავის სტილს ძალიან წააგავდა.

ნელ-ნელა გამოჩნდა, რომ ბრაზილიელი ტრავმებისკენ ძალიან იყო მიდრეკილი. დემბელეს შემდეგ ის გუნდში ყველაზე მეტ ტრავმას იღებდა.

74 მატჩი, 4 გოლი და 6 საგოლე გადაცემა – არტურმა ბარსელონაში სულ ეს მოასწრო და ის იუვენტუსს მირალემ პიანიჩში გაუცვალეს.

დიდი 10 ბრუნდება

დიდი 10-ის 2020-21 წლების გარდამავალი, 12-გუნდიანი ტურნირი 9 ოქტომბერს დაიწყება, ქვეყნის ჩემპიონი კი მაისში გამოვლინდება.

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო შეწყვეტილი შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ დიდ 10-ში გუნდების რაოდენობა ერთი წლით 12-მდე გაიზარდა. ისინი 2019-20 წლების სეზონის დაუსრულებელი ჩემპიონატის შეწყვეტის მომენტში არსებული სატურნირო ვითარების მიხედვით, ორ 6-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ.

ა ჯგუფში მოხვდნენ: ლელო-სარასენსი, რუსთავის ხარები, აკადემია, იუნკერები, ლოკომოტივი და პატარძეულის ვეფხვები;

ბ ჯგუფში ითამაშებენ: ბათუმი, ქუთაისის აია და არესი, გორის ჯიქი, ბოლნისის ყოჩები და მარნეულის არმაზი.

გუნდები 2 წრედ ითამაშებენ, რის შემდეგაც, მეორე ეტაპზე, თითოეული ჯგუფის მოწინავე 3-3 გუნდი 6-გუნდიან საჩემპიონო ჯგუფს შექმნის, ხოლო 4-6 გუნდები ასევე 6-გუნდიან ჯგუფში განაწილდებიან და ლიგაში დასარჩენად იბრძოლებენ.

მეორე ეტაპზე ყველა გუნდს გადაჰყვება პირველ ეტაპზე მოპოვებული 4 მატჩის შედეგი იმ 2 გუნდთან, რომელთან ერთადაც შევიდა ექვსეულში. ექვსეულში თითოეული გუნდი გამართავს 6 შეხვედრას, შინ და გარეთ ეთამაშება მხოლოდ მეორე ჯგუფიდან გამოსულ 3 გუნდს, რომელთანაც პირველ ეტაპზე არ უთამაშია.

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ მოწინავე ექვსეულის გუნდები საჩემპიონო ფლეი ოფში ჩაერთვებიან. ფლეი ოფის პირველ, ერთმატჩიან დუელში მესამეადგილოსანი – მეექვსეს, ხოლო მეოთხეადგილოსანი მეხუთეს მასპინძლობს. 2 მოწინავე პირველ ეტაპზე ისვენებს და ფლეი ოფში ნახევარფინალიდან ჩაერთვება – პირველადგილოსანი – პირველი წყვილის გამარჯვებულს, ხოლო მეორეადგილოსანი მეორე წყვილის გამარჯვებულს უმასპინძლებს.

ნახევარფინალური წყვილების გამარჯვებულები „ოქროს ფინალში“ საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ფინალამდე 3 თვით ადრე შერჩეულ სტადიონზე ითამაშებენ. ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ბრინჯაოს ფინალს ითამაშებენ.

ქვედა ექვსეულში ფლეი ოფები არ გაიმართება და ბოლო 3 გუნდი 2021-22 წლების სეზონს პირველ ლიგაში დაიწყებს. მათ ნაცვლად 2020-21 წლების პირველი ლიგის გამარჯვებული დიდ 10-ში აღზევდება.

მეორე ეტაპის შედეგად ქვედა ექვსეულში მესამე ადგილზე გასული გუნდი პირველი ლიგის მეორეადგილოსანს 2021-22 წლების დიდი 10-ის საგზურისთვის ერკინება. ორრაუნდიანი დუელის პირველ მატჩში მასპინძელი პირველი ლიგის გუნდი იქნება. გამარჯვებული ორი შეხვედრის ჯამური შედეგით გაირკვევა.

მოამზადა მანეილ ყორეყოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

11 წლის ბიჭმა მერსედესი გაიტაცა და ბებია გადაარჩინა

ამერიკის ინდიანის შტატში 11 წლის მოზარდმა გაიტაცა მერსედეს-ბენცის მარკის ავტომობილი და თავისი ბებია დაღუპვას გადაარჩინა. პი ჯეი ბრიუერ-ლეი და მისი ბებია ანჟელა სახლიდან დაახლოებით ორ კილომეტრ-ნახევარში სეირნობდნენ. ბიჭი საბავშვო ელექტრომობილით სეირნობდა, რა დროსაც შენიშნა, რომ ბებიამ თავი შეუძლოდ იგრძნო. მან გადაწყვიტა, ავტოფარეხამდე მისულიყო და იქ ბებიის ავტომობილზე გადამჯდარიყო, რათა ბებია საავადმყოფოში წაეყვანა.

– მე საგზაო ნიშანს მივეყრდენი და ამ დროს შევნიშნე, რომ ჩემკენ ჩემი მერსედესი მოდიოდა. მანქანა მშვიდად და ნელა მოგორავდა, – იხსენებს ბავშვის ბებია, – შევიხედე მანქანაში იმის გასარკვევად, თუ ვინ იჯდა საჭესთან, იქ კი ჩემი პი ჯეი იჯდა. ეს ბიჭი მხოლოდ 11 წლისაა, მაგრამ მანქანას ნამდვილი პროფესიონალივით ატარებს.

პი ჯეიმ ბებია უპრობლემოდ მიიყვანა სახლამდე, სადაც მას აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ცხარე გემოს მქონე ფრანგული ყველი; 2. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 3. რეცეპტის პირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს თან ახლავს; 4. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 5. დამკაბადონებელი სტამბაში; 10. გერმანელი ფილოსოფოსი; 11. მხატვრული ფილმის „უძინართა მზის“ კინორეჟისორი; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 13. იტალიური რესტორანი; 16. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 23. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი.

თარაზულად: 6. რომელიმე ენის ფორმების შემსწავლელი გრამატიკის ნაწილი; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 9. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 22. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 24. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 25. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 26. უბანი თბილისში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფიცი; 2. აგუნა; 3. ბზიფი; 5. ლუხუნი; 6. ფეთხაინი; 9. ქსენოფობია; 10. ბარომეტრი; 11. კატალონია; 14. ოდა; 16. კალასი; 18. ზმნა.

თარაზულად: 1. ფიგარო; 4. ფალსტაფი; 7. სულორი; 8. ფერხული; 11. ტესლა; 13. ბოლიდი; 15. კოპალა; 17. შოუ; 19. ჟანდარმერია; 20. განდი; 21. ფაშატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ურუშაძე; 2. ბრიუსელი; 3. ოტომანები; 4. ლიოტარი; 5. კომპონენტი; 10. მაკეტი; 11. მუშტაიდი; 12. კონსული; 13. ბეთანია; 16. ყანდარელი; 17. ჟანდარმი; 19. ასფიქსია; 21. სევრი; 23. თერგი.

თარაზულად: 6. პრიორიტეტი; 7. ჯილღაო; 8. ბახუსი; 9. ნადირაძე; 14. ბელკანტო; 15. კანდელაკი; 18. მედეა; 20. ფაეტონი; 22. კათედრა; 24. ჰენესი; 25. ფედერერი; 26. ლაგამი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0829

ევრო — 3.6440

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0546

100 რუსული რუბლი — 4.0497

ამინდის პროგნოზი 9 სექტემბრისათვის

კილიან მბაპეს კორონავირუსი დაუდასტურდა

პსჟ-ს ვარსკვლავ კილიან მბაპეს ერთ-ერთი შემოწმების შემდეგ კორონავირუსი დაუდასტურდა, თუმცა მას ეს ვირუსი რთულ ფორმებში არ აღენიშნება. მბაპეს გარდა, პარიზულ გუნდში კორონავირუსი ნეიმარსა და პარედესს დაუდასტურდათ, თუმცა მათ ასევე არ აქვთ გართულებები და პსჟ ჩვეულებრივად აგრძელებს ვარჯიშს.

კილიან მბაპე ვირუსზე მარტშიც შეამოწმეს, როდესაც პანდემია ახალი დაწყებული იყო, მაგრამ მაშინ მას ვირუსი არ დაუდასტურდა.

სილისენი: „ჰოლანდიის ნაკრები ფსიქოლოგიურად რთულ მდგომარეობაშია“

ჰოლანდიის ნაკრებისა და ესპანური ვალენსიის მეკარე იასპერ სილისენმა ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ რონალდ კუმანის წასვლის გამო ფეხბურთელები არცთუ კარგ მდგომარეობაში არიან, რადგან მათ კუმანთან ერთად მუშაობა მოსწონდათ:

– კუმანის წასვლა ჩვენთვის იოლი გადასატანი არ არის, რადგან მასთან ერთად ბევრი რამ გამოვიარეთ. ასეთ ცვლილებებთან შესაგუებლად დროა საჭირო, ამიტომ უახლოეს შეხვედრებში შეიძლება გაგვიჭირდეს. დარწმუნებული ვარ, წარმატებულ გზას ისევ დავადგებით.

ტონი კროოსი: „რეალში იმაზე მეტს მივაღწიე, ვიდრე წარმოვედგინა“

მადრიდის რეალის გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა მადრიდის რეალზე ისაუბრა და თქვა, რომ მან ამ გუნდში იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე წარმოედგინა. განსაკუთრებით ეს ჩემპიონთა ლიგას ეხება.

კროოსის თქმით, ამ ტურნირის ზედიზედ სამჯერ მოგება საოცარი შედეგია:

– როდესაც რეალში გადავედი, ვიცოდი, რომ ძალიან ძლიერ გუნდში მივდიოდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ მეგონა, რომ ზედიზედ სამჯერ ჩემპიონთა ლიგის მოგებას შევძლებდი. ეს, უბრალოდ, სასწაულია.

კოლაროვი კარიერას ინტერში გააგრძელებს

ვეტერანი სერბი ნახევარმცველი ალექსანდრ კოლაროვი კარიერას ინტერში გააგრძელებს. კოლაროვმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ის რამდენიმე დღეში გუნდთან ერთად ვარჯიშსაც დაიწყებს.

კოლაროვი ინტერს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. მისი ბოლო გუნდი რომა იყო, სადაც მან 5 სეზონი გაატარა. იქამდე კოლაროვი მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანეკდოტი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მართალია, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სასიძო თავის მომავალ ცოლს მხოლოდ დაქორწინების შემდეგ იცნობს?

– ნებისმიერ ქვეყანაში მასეა, შვილო!

●●●

ერთი მეგობარი მეორე ეუბნება:

– იცი, თურმე იაპონური საავადმყოფო შარდის ანალიზს გაცილებით უკეთესად იღებს, ვიდრე ჩვენი!

●●●

ზოოპარკში ორი მეგობარი გალიაში მჯდომ გორილას შეჰყურებს და უცბად ერთი მეორეს ეუბნება:

– ნახე, რამსიგანე ნესტოები აქვს...

– აბა, რა იქნება, ვერ ხედავ, რამსისქე თითები აქვს.

●●●

გოგონას მამა ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მისულ ახალგაზრდა მამაკაცს ეკითხება:

– დარწმუნებული ხართ, რომ შეგიძლიათ, ჩემს ქალიშვილს მისცეთ ყველაფერი, რაც კი სჭირდება?

– რა თქმა უნდა, ის სულ იმას მეუბნება, რომ მას მხოლოდ მე ვჭირდები.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– არჩევანის წინაშე რომ დადგე, რომელს აირჩევდი: ფრენა შეგეძლოს თუ ველოსიპედით სიარული?

– ველოსიპედით სიარული უკვე შემიძლია...

– ე.ი. არჩევანი უკვე გაგიკეთებია!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ყოფილი ცოლი მსუქანი იყო, მაგრამ ჩემს მატრასს, რომელიც მეხსიერების ეფექტით არის აღჭურვილი, მის დასავიწყებლად ერთი წელი დასჭირდა.

გიორგი ყიფშიძე და ნანკა კალატოზიშვილი „ფორმულაზე“ გადავიდნენ

მსახიობები ნანკა კალატოზიშვილი და გიორგი ყიფშიძე ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლები გახდნენ.

მსახიობებმა შეთავაზება გადაცემა „თვითიზოლაციის“ შემოქმედებითი ჯგუფისგან მიიღეს და მონატრებულ მაყურებელს კვლავ ტელეეკრანებიდან მიესალმებიან.

ნანკა კალატოზიშვილი და გიორგი ყიფშიძე ბოლოს „რუსთავი 2“-ში მუშაობდნენ.

ფილმი „ექვთიმე“ ახმეტაში აჩვენეს



რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის მხატვრული ფილმი „ექვთიმე“, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ეძღვნება, ახმეტაში აჩვენეს. ეს ფილმის რიგით 97-ე ჩვენება იყო.

რეჟისორმა ნამუშევარი შესაბამისი რეგულაციების დაცვით წარმოადგინა. ჩვენება ახმეტის კულტურის ცენტრში შედგა.

– საინტერესოა, სად შედგება საიუბილეო მე-100 ჩვენება? – კითხულობს რეჟისორი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს ფილმი ყველა ქართველმა უნდა ნახოს.

წრომის ტაძარი სავალალო მდგომარეობაშია

ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე წრომის უძველესი ტაძარი სავალალო მდგომარეობაშია.

ინფორმაცია დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– გენიალური წრომის მშენებლობიდან ვიდრე მწვანე მოაჯირების ჩხლართვამდე...

ანუ ქართველი ერის ესთეტიკა 14 საუკუნის წინ და ამჟამად... ეს სავალალო მდგომარეობა წარმომიდგინა ინტერნეტში ნანახმა ამ ფოტომ, რომელიც ან შარშან, ან წელს გადაიღო ავტორმა.



1385 წლის წინ აგებულ თოთხმეტსაუკუნოვან დიდებულ წრომის მაცხოვრის ტაძარში, რომელიც აგებულია 635 წელს ძველი ეკლესიის ადგილზე, 2019 წლამდე წყალი ჩადიოდა სახურავის ბევრ მონაკვეთზე და აზიანებდა ტაძარს. შარშან მოხდა სახურავის განახლება სააგენტოს ხელმძღვანელობით, მაგრამ მაინც ბევრ პრობლემას განიცდის ისტორიული ძეგლი: საჭიროებს ეროზირებულ-დახავსებული და ადგილ-ადგილ ცემენტით გათხუპნილი ქვის პერანგის კონსერვაცია-რესტავრაციას, კანკელის აღდგენასა და სხვა კეთილმოწყობით სამუშაოებს. ამ ყველა პრობლემას ემატება ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის მიერ შეუსაბამოდ დამონტაჟებული გარეგანათების ბოძები და კაბელები, ასევე მწვანე მოაჯირი, რომლებიც ამახინჯებენ ტაძრის ისტორიულ ფასადებს და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

როდის ვისწავლით ქართველები ეროვნული საუნჯის გაფრთხილებასა და მოვლას, მე ვერ გავიგე და კიდევ უფრო მაკვირვებს, წინა საუკუნეებში ჩვენში არსებული უდიდესი ესთეტიკისა და სინატიფის შეგრძნება ასე როგორ დავკარგეთ და დაგვიმახინჯდა.

„პრაიმ შოუ“ ახალი სეზონით ბრუნდება

9 სექტემბრიდან „იმედის“ ეთერში გადაცემა „პრაიმ შოუ“ ახალი სატელევიზიო ეთერით ბრუნდება.

გადაცემის წამყვანები ირაკლი მაქაცარია, ანრი ჯოხაძე, ნოე სულაბერიძე, ნინი ბადურაშვილი, სალომე ღვინიაშვილი და ნინო კუზანოვა საქართველოს რეგიონებში მოგზაურობენ, მაყურებელს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადგილებს აჩვენებენ და საინტერესო ისტორიებს მოუთხრობენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 სექტემბრისათვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. ** კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 2. ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 3. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 5. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. რაიონული ცენტრი კახეთში; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. ოპერა „სევილიელი დალაქის“ მუსიკის ავტორი; 18. აეროპორტი თელ-ავივში.

თარაზულად: 1. სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი თბილისში; 4. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 7. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 8. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 12. ხელოვნური მარმარილო; 13. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 15. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. ავსტრალიური ველური ძაღლი; 21. აეროპორტი ნიუ იორკში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა